



# თავისუფალი დემოკრატების პროგრამა



იდეოლოგია .....	5
ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა .....	6
ეროვნული უსაფრთხოება.....	8
სამართლის სფერო.....	10
ეკონომიკა .....	15
სიღარიბის დაძლევა, სოციალური პოლიტიკა,სოციალური დახმარება .....	19
საპენსიო პოლიტიკა, ზრუნვა პენსიონერებზე.....	20
სტრატეგიული პროგრამა დევნილთა ინტერესების დასაცავად .....	21
ჯანმრთელობის დაცვა .....	24
ნარკოპოლიტიკა .....	27
განათლება .....	28
სოფლის მეურნეობა.....	38
ენერგეტიკული პოლიტიკა.....	41
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა.....	43
კულტურული მემკვიდრეობა .....	47



ჩვენ ვართ თავისუფალი დემოკრატები. ჩვენ გვსურს თავისუფლება და ხალხის მმართველობა თავად ხალხისთვის. ჩვენ დემოკრატია გვჭირდება იმისთვის, რომ ყოველი მოქალაქის უფლებები თანაბრად და განუხრელად იქნეს დაცული, გვჭირდება იმისთვის, რომ თავისუფალმა ხალხმა დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ქვეყანა და დაუბრკოლებლად განავითაროს ეკონომიკა, უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა, იცხოვროს ძლიერ და სამართლიან სახელმწიფოში.

ჩვენი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აუცილებელია ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული, მკაფიოდ სტრუქტურირებული, რეგიონული განშტოებების მქონე პარტიის განვითარება, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს და ერთდროულად მრავალი ფუნქციის შესრულებას შეძლებს.

პარტიის შემდგომი განვითარება სამუალებას გვაძლევს, მოქალაქეებთან პირდაპირი დიალოგით გავიგოთ მათი სატკივარი და ნათლად ავუხსნათ, რა იდეოლოგიური ღირებულებების, პოლიტიკური მიზნების მატარებელი ვართ და როგორ შევძლებთ მათი პრობლემების მოგვარებას. ზუსტად ამგვარ, მკაფიოდ გამოკვეთილ და არაორაზროვან პოზიციას,

სხვებისგან გამორჩეულ პოლიტიკურ იერსახეს ითხოვს და ელის ჩვენგან როგორც ჩვენი მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი, ასევე არანაკლებ მრავალრიცხოვანი პოტენციური მომხრე.

დემოკრატია ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველში მხოლოდ იმიტომ კი არ დევს, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობას ნიშნავს, არამედ იგი არის თითოეული მოქალაქის და მთელი ხალხის ძირითადი პოლიტიკური უფლების გამოხატვისა და განხორციელების საუკეთესო ფორმა.

პარტიის პოლიტიკური მსოფლმხედველობა ეფუძნება ქალის და კაცის თანაბარ ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკურ თუ პარტიულ პროცესებში. ქვეყნის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევაზე პასუხი საქართველოს საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ძალებმა ერთად უნდა ვიპოვოთ. ჩვენ არ ვეძებთ მტრებს პოლიტიკურ ოპონენტებში, ჩვენ ვეძებთ პარტნიორებს ყველა იმ პოლიტიკურ ძალაში, რომლებთანაც გვაქვს მსოფლმხედველობრივი თანხვედრა.

ძალა ერთობაშია და ამავე დროს, ძალა თითოეულ ჩვენგანშია. ესაა თავისუფლების ძალა, სამართლიანობის ძალა, აღმშენებლობის ძალა, რომელიც ჩვენ უდავოდ შეგვწევს და სწორედ ამიტომ არის ძალა ჩვენს ერთობაში! ჩვენ გვაერთიანებს ჩვენი საქართველო.

საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტად მიგვაჩნია ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაც მხოლოდ შესაძლებელი იქნება ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობით. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ფუნქციას შესძენს ქვეყანას როგორც რეგიონისთვის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

ამავე დროს, თავისუფალ დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ გრძელვადიანი სტაბილურობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად აუცილებელია საერთო ინტერესების გათვალისწინებით რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთპატივისცემის პრინციპზე აგებული პარტნიორული, კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. საქართველოს, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მისია აკისრია რეგიონში. თავისუფალმა დემოკრატებმა, ვყვრდნობით რა საკუთარ ცოდნასა და პროფესიონალურ გამოცდილებას, ვიცით, თუ როგორ მივალწიოთ ამ მიზანს.

„თავისუფალი დემოკრატები“ ვართ ის პოლიტიკური გუნდი, რომელმაც წლების განმავლობაში გარდამტეხი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ წინსვლაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში და ეროვნული უსაფრთხოების სფეროს საბჭოთა სისტემიდან თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სისტემად გარდაქმნაში. ჩვენ ვიღებთ პასივისმგებლობას, ჩვენი გამოცდილი, კომპეტენტური და პროფესიული გუნდით მივალწიოთ საქართველოს უფრო ღრმა ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაზრდას და უსაფრთხოების სფეროში მდგარი გამოწვევების გამკლავებას.

„თავისუფალი დემოკრატების“ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია:

1. საქართველოს დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება. ამისათვის:

- აქტიური მუშაობა პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო, გაერო და სხვა;
- ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის გაძლიერება;
- გაეროს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ რეზოლუციის მხარდაჭერის გაზრდა;
- ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების პოლიტიკის გაგრძელება.

2. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ამისათვის:

- ასოცირების ხელშეკრულების იმპლიმენტაცია;
- ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედება და მისი არეალის გაფართოვება;
- ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული რეფორმების იმპლიმენტაცია და შესრულება;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭო სივრცის შესახებ ხელშეკრულების სრული ამოქმედება;
- ევროკავშირში განწვერიანების პროცესის დაწყება;
- ნატოსთან თანამშრომლობის ყველა მექანიზმის მაქსიმალური და სრულყოფილი ამოქმედება.

3. აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება. ამისათვის:

- ქართის ფორმატის მაქსიმალური გამოყენება; თავდაცვით და უსაფრთხოების სფეროში განსაკუთრებული თანამშრომლობის სტატუსის მიღწევა;
- თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების მიღწევა აშშ-სთან;

4. მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცება. ამისათვის:

- თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანთან არსებული ტრილატერალური ურთიერთობების განმტკიცება და ევროკავშირთან

არსებული თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების პირობებში ეკონომიკური პროექტების განხორციელება;

- რეგიონის ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება.
5. რუსეთის ფედერაციასთან არსებული დადაბულობის დეესკალაცია. ამისათვის:
- ფორმალური და არაფორმალური ფორმატების ფარგლებში მოლაპარაკებების გაგრძელება და განვითარება;
  - ახალი ფორმატების შექმნა საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით: გერმანიის

მიზნობრივი ჩართვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში;

- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, მათ შორის ტურიზმის დარგშიც;
  - უვიზო რეჟიმის მიღწევა.
6. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ახალი პარტნიორების ძიება, განსაკუთრებით, აზიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში უზრუნველსაყოფია ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვის, სამხედრო, საპოლიციო და სადაზვერვო ძალების სრული დეპოლიტიზაცია და ქმედუნარიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

საქართველოს წინაშე მდგარი რეგიონული და გლობალური საფრთხეების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და განმტკიცებაზე.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს გარშემო მკვეთრად გაუარესდა უსაფრთხოების გარემო. რუსეთის აგრესიამ საქართველოზე, უკრაინაზე, სომხეთ-აზერბაიჯანის სამხედრო დაპირისპირებამ, ახლო აღმოსავლეთში ისლამური ექსტრემიზმის ტერორისტული ორგანიზაციების უპრეცედენტო გააქტიურებამ საქართველო განსაკუთრებული საფრთხეების წინაშე დააყენა. თავისუფალი დემოკრატები ვთვლით, რომ გადასადგმელია შესაბამისი კონკრეტული ნაბიჯები იმისთვის, რომ საქართველოს საზოგადოება იყოს დაცული და ეფექტურად გაუმკლავდეთ შესაძლო სამხედრო აგრესიის და ტერორისტული თავდასხმის საფრთხეს:

1. საქართველოს შეიარაღებული ძალებს უზრუნველყოფთ თანამედროვე საპაერო თავდაცვის და ანტისატანკო სისტემებით. 2014 წელს თავისუფალი დემოკრატების მთავრობაში ყოფნის დრო საფრანგეთთან გაფორმებული შეთანხმება გადაუდებლად იქნება ამოქმედებული;
2. უშიშროების სისტემაში შევქნით ეროვნულ ანტიტერორისტულ ცენტრს, რომელიც იქნება წამყვანი უწყებათშორისი სტრუქტურა, რომელიც დაგეგმავს, წარმართავს და აღასრულებს საქართველოს სამართალდაცვითი სტრუქტურების ანტიტერორისტულ ძალისხმევას;
3. უშიშროების სისტემის რეფორმირება, უპირველესად, მიზნად დაისახავს განსაკუთრებული ძალისხმევა და დაფინანსება მიმართოს ეროვნული კონტრდაზვერვითი სამსახურის გაძლიერებისკენ;

4. საქართველოს სადაზვერვო სამსახურების თვისობრივი რეფორმირება, არსებული რესურსების ეფექტური შერწყმითა და ცხადი, კონკრეტული დიპლომატიური და თავდაცვითი ამოცანების შესრულების ინტერესებზე მორგებით.

თავისუფალ დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები:

- გაიზარდოს საპარლამენტო ზედამხედველობა თავდაცვის და უსაფრთხოების ინსტიტუტებზე, მათ შორის გაფართოვდეს „ნდობის ჯგუფის“ მანდატი;
- თავდაცვის და უსაფრთხოების კომიტეტის დაქვემდებარებაში შეიქმნას ვეტერანთა საკითხებზე მომუშავე ქვეკომიტეტი;
- გაგრძელდება საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება და პროფესიული განვითარება;
- პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენი სამხედროები ღირსეული, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საპენსიო პაკეტით იქნებიან უზრუნველყოფილნი. განხორციელდება ის სამხედრო საპენსიო რეფორმა, რომელიც ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, ჯერ კიდევ 2014 წლის ნოემბერში იგეგმებოდა და შეთანხმებული იყო ნატოსთან. რეფორმის შედეგად, გაიზრდება სამხედრო მოსამსახურის პენსია;
- ბოლომდე იქნება მიყვანილი ქვეყნის მობილიზაციის და რეზერვის სისტემის რეფორმა.

ჩვენთვის, „თავისუფალი დემოკრატების“ გუნდისთვის, თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზანს - ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნას ემსახურება ჩვენი ძალიხსმევა საგარეო პოლიტიკურ და თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო გამოწვევას დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურ-



თიერთობების უმძიმესი 30 წლიანი პოლიტიკური მემკვიდრეობის მიუხედავად, თავისუფალ დემოკრატებს ღრმად გვწამს შერიგების რესურსების და, 2005-2007 წლებში წარმოებული მოლაპარაკებების გამოცდილებაზე დაყრდნობით, დავინწყებთ ომით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას. ვალიარებთ რა, რომ კონფლიქტებს არ აქვს სამხედრო გადანწყვეტა, მთელ ძალისხმევას მივმართავთ სახალხო დიპლომატიური, კულტურული, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რესურსის ამოქმედებაზე. თავისუფალი დემოკრატების ლიდერს ირაკლი ალასანიას აქვს ყველაზე დიდი რესურსი შერიგების და ურთიერთობების აღდგენის პოლიტიკის წარმატებით წარმართვისთვის, რაც ნათლად გამოჩნდა, როდესაც ხელმძღვანელობდა მოლაპარაკებებს აფხაზურ მხარესთან 2005-2007 წლებში.

### **სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ**

სახელმწიფომ მკეთრი, ერთიანი პოლიტიკით უნდა იზრუნოს იმ პირებზე, ვინც თავდადებით იბრძოდა ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის. დღეს ვეტერანების ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას მთავრობა ფრაგმენტულად, საერთო სტრატეგიული ხედვის გარეშე განსაზღვრავს. ასევე, აქტუალურია დაუბეგრავი მინიმუმის საკითხი. მოძველებულია და, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობაში მოდის სხვა კანონებთან კანონი “ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შე-

სახე”. არ არსებობს ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების ხელშეწყობის სათანადო მექანიზმები.

“თავისუფალი დემოკრატები” ვიღებთ ვალდებულებას:

- განხორციელებს ომის ვეტერანთა სოციალური პრობლემების დარეგულირება. აღვადგენთ და გავზრდით კომუნალურ სუბსიდიას 22 ლარიდან 50 ლარამდე თვეში;
- ვეტერანებისთვის საქალაქო და საგარეუბნო მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა იქნება უფასო;
- გაორმაგდება საგადასახადო კოდექსით ვეტერანებისათვის განსაზღვრული 3000 ლარიანი დაუბეგრავი მინიმუმის ზღვარი და გახდება 6000 ლარი წელიწადში. აღნიშნული შეღავათი გავრცელდება ავღანეთისა და სხვა სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო პირებზე;
- უმაღლეს სასწავლებლებში (მაგისტრატურა) ვეტერანთა შვილებისათვის სწავლება იქნება უფასო (სახელმწიფო ხარჯებით);
- გარდაცვალებისას სამხედრო წესით დასაფლავება;
- განთავისუფლებიან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
- მოვანყობთ ვეტერანთა სასაფლაოს (აშშ-ს არლინგტონის სასაფლაოს მსგავსად).

“ქართული ოცნების” ხელისუფლების პოლიტიკა სამართლის სფეროში ორიენტირებული აღმოჩნდა არა სასამართლოს დამოუკიდებლობის შექმნასა და გამყარებაზე, პროკურატურის, პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეპოლიტიზაციაზე, არამედ, პირიქით, ამ ინსტიტუტების საკუთარი პოლიტიკური კონტროლისათვის სრულად დაქვემდებარებაზე. “ქართული ოცნების” მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით შენარჩუნდა და, რიგ შემთხვევებში, კიდევ უფრო გაძლიერდა მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენა აღნიშნულ ინსტიტუტებზე და ამან კიდევ უფრო მეტად სახიფათო –შენიღბული სახე მიიღო იმ მიზნით, რომ “ქართულ ოცნებას” შეეძლოს პასუხისმგებლობის აცილება ამ ორგანოთა არასათანადო და უკანონო მოქმედებათა გამო.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სამართლის სფეროს რეალური რეფორმირება, შესაბამისი ინსტიტუტების სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის გავლენისაგან გათავისუფლების, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად მათი მოწყობის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს ამ ორგანოთა საქმიანობის პროცესში, ადამიანის უფლებების პრიორიტეტულობის აღიარების პირობებში, კერძო და საჯარო ინტერესთა შორის მიზანშეწონილი ბალანსის დაცვას, კერძოდ:

### საერთო სასამართლოები

- მოსამართლის დანიშვნის წესი უნდა გახდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ეყრდნობოდეს განჭვრეტად, ეფექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებს;
- თვისობრივად განსხვავებული კონცეფციით უნდა განისაზღვროს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა. თავმჯდომარე აღარ უნდა წარმოადგენდეს სასამართლოზე მმართველი პოლიტიკური ძალის კონტროლის განხორციელების ინსტრუმენ-

ტს, არამედ ის უნდა იქცეს სასამართლოს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ეფექტური ადმინისტრირების განმახორციელებელ თანამდებობის პირად. ამისათვის საჭიროა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, სასამართლოს თავმჯდომარის 5 წლის ვადით დანიშვნის არსებული წესის ნაცვლად, შემოღებული იქნას თავმჯდომარის არჩევის წესი თავად მოცემული სასამართლოს შემადგენლობის მიერ – როტაციულად, არაუმეტეს 3 წლის ვადით;

- პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერების ეფექტური კონტროლის მიზნით, დასაშვებობის შემონიშნების გარეშე, სავალდებულო უნდა გახდეს საკასაციო საჩივრის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. (ეს წესი შეიძლება შემოღებული იქნას გარკვეული ვადით, მაგრამ არაუმცირეს 5 წლით, მისი ეფექტურობის გაანალიზებისა და შემდგომი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პირობით);
- განსახილველ საქმეთა რაოდენობის გაზრდით გამოწვეული, დამატებითი დატვირთვის დაძლევის მიზნით, საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა (თავდაპირველად - მინიმუმ მის გაორმაგებამდე). ამასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს კანონით, როგორც ეს ხდება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებთან, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით და არა თავად უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, როგორც ეს ამჟამად ხორციელდება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის სფეროს განეკუთვნება, რაც პარლამენტის კომპეტენციას წარმოადგენს;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდი უნდა გაიზარდოს არსებული არ-

ასრული 1 წლიდან არაუმცირეს 3 წლამდე ვადით. აქ გავლილმა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტენსიურმა კურსმა, მსმენელთა ყოველწლიური შეფასების სისტემით, უნდა ჩაანაცვლოს უვადოდ გამწესებამდე მოსამართლის 3 წლიანი ე.წ. საპრობაციო ვადით გამწესების და ამ პერიოდში მოსამართლის საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელების არსებული წესი;

- უნდა გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უფრო ფართოდ დასაწვდომად და ასამოქმედებლად. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებს პოლიტიკური ხელისუფლების გავლენას სასამართლოზე (ხელისუფლებისათვის გაცილებით რთულია თითოეულ საქმეზე შერჩეულ 12 ნაფიც მსაჯულზე გავლენის მოხდენა, ვიდრე ერთი მოსამართლის გაკონტროლება) და გაზრდის სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს.

### საკონსტიტუციო სასამართლო

სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის სტანდარტებთან შესაბამისობის ეფექტური კონტროლის მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიენიჭოს საერთო სასამართლოების შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ამ კუთხით შემოწმების ფუნქცია. (ამგვარ ფუნქციას წარმატებით ახორციელებენ გერმანიის, უნგრეთისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოები). აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს მოკლე ვადაში (სავარაუდოდ, საჩივრის წარდგენიდან არაუმეტეს 1 წელიწადში) და ეს გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს ახლად გამოვლენილ გარემოებას მოცემულ საქმეზე საერთო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის.

დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს “ქართული ოცნების” საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები,

რომლის თანახმად, მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საყოველთაო პრინციპის საწინააღმდეგოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საკითხთა განხილვის უმეტეს შემთხვევაში, მოსამართლეთა უმცირესობას ეძლევა შესაძლებლობა, სასამართლოს სახელით მიიღოს მოსამართლეთა უმრავლესობის პოზიციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

ამგვარი, ყოვლად აბსურდული და გაუმართლებელი საკანონმდებლო ცვლილებები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ განახორციელა იმ მიზნით, რომ მოსამართლეთა მისგან კონტროლირებადი უმცირესობის ხელით შესძლებოდა საკუთარი გავლენის გავრცელება მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოზე. კონსტიტუციურ სამართლწარმოებაში შექმნილი აღნიშნული არანორმალური ვითარება სასწრაფოდ უნდა იქნას გამოსწორებული.

### იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ინსტიტუციური მონყობის შესაბამისი ცვლილებებით მიღწეული უნდა იქნას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეტი დამოუკიდებლობა სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის გავლენისაგან, რაც აუცილებელია საბჭოს მიერ ადმინისტრირებული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის.

### პროკურატურა

“ქართული ოცნების” ხელისუფლების მიერ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით არ მოხდა პროკურატურის სისტემის რეალური დეპოლიტიზაცია. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის, ანუ მმართველი პოლიტიკური ძალის შეუზღუდავი ნებით წყდება მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი. ამასთან, ეს ის მთავარი პროკურორია, რომელიც თანამდებობაზე ერთპიროვნულად ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ყველა სხვა პროკურორს, პროკურატურის გამომძიებელს და ნებისმიერ სხვა მუშკს, პროკურატურის მრჩევლის, სტაჟიორის, შტატგარეშე თუ დამ-

ხმარე მოსამსახურის ჩათვლით . რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენა პროკურატურის სისტემაზე შეზღუდავია. ანუ პროკურატურა, თავისი ინსტიტუციური მონყობით, სრულად პოლიტიზირებულია.

იმისათვის, რომ მოხდეს პროკურატურის დეპოლიტიზაცია, საჭიროა:

ა) მთავარი პროკურორის კანდიდატურის ნომინირებას უნდა ახდენდეს არა აღმასრულებელი ხელისუფლება, რასაც დღეს იუსტიციის მინისტრი ახორციელებს, არამედ სახელისუფლებო პოლიტიკური ძალისაგან შედარებით დისტანცირებული სხვა ინსტიტუცია. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად საქართველოს პრეზიდენტი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის ნომინირების მსგავსად);

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მთავარი პროკურორის კანდიდატურის ნომინირება აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციად განისაზღვრება, საჭიროა ამ კანდიდატურის შემდგომი შეფასებისა და საბოლოოდ მისი არჩევის საკითხის გადაწყვეტა არ დარჩეს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ნებაზე დამოკიდებული. ამ მიზნით, შესაძლებელია საქართველოს პრეზიდენტს მიეცეს მთავრობის მიერ ნომინირებული კანდიდატის მხარდაჭერის უფლებამოსილება, მხარდაჭერაზე ორჯერ უარის თქმის უფლებით;

გ) საპროკურორო საბჭო უნდა გათავისუფლდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ძლიერი გავლენისაგან, რასაც ის დღეს განიცდის. კერძოდ: საპროკურორო საბჭოს არ უნდა თავმჯდომარეობდეს იუსტიციის მინისტრი; საპროკურატურო საბჭოს პროკურორი წევრების კანდიდატურებს ნაცვლად დღეს არსებული, არაუმცირეს 30 პროკურორისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფებისა, რომლებსაც ფაქტობრივად წინასწარ ქმნის და აკონტროლებს მთავარი პროკურორი, უშუალოდ უნდა ასახელებდნენ პროკურორთა კონფერენციაში მონაწილე პროკურორები და ირჩევდნენ მათ ფარული კენჭისყრით (ისეთივე წესით, როგორც მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს);

დ) იმისათვის, რომ პროკურატურაზე შესუსტდეს მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენა, უნდა გაიზარდოს პროკურატურის ან-

გარიშვალდებულების ხარისხი პარლამენტში წარმოდგენილი ცალკეული პოლიტიკური ძალების წინაშე;

ე) უნდა გატარდეს სხვა ცვლილებებიც პროკურატურის სისტემის რეალური დეპოლიტიზაციის მიზნით, რათა ამ უწყების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა და სახელმწიფო ბრალდება ხორციელდებოდეს არა მმართველი პოლიტიკური ძალის სურვილებისა და ნების, არამედ – სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად.

### **პოლიცია და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ პოლიციისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში გატარებულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო ამ უწყებათა რეალური დეპოლიტიზაცია და მათი საქმიანობის პროცესში ადამიანის უფლებათა სათანადო დაცვა.

2013 წელს მიღებული კანონით „პოლიციის შესახებ“ გაუმართლებლად გაიზარდა პოლიციის დისკრეციული უფლებამოსილება დანაშაულის ზოგადი პრევენციის სფეროში, რაც ამ უწყებას ადამიანის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, აღნიშნული კანონის თანახმად, სპეციალური საპოლიციო კონტროლი (ე.წ. რეიდი) ხორციელდება შს მინისტრის წერილობითი განკარგულების საფუძველზე, რომლის დასაბუთება მინისტრს არ ევალება.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ 2015 წელს მიღებული კანონისა და ამ სამსახურის დებულების შესაბამისად, მოცემული უწყების სტრუქტურულ ერთეულად განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი სამსახური - ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი (ოტდ). ამგვარი სამსახურის (ოტდ-ს) უშუალოდ სამართალდამცავ სისტემაში და მითუმეტეს, საგამოძიებო კომპეტენციის მქონე ორგანოში არსებობა არ შეესაბამება პირადი ცხოვრების /პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპულ სტანდარტს.

სამართალდამცავი/საგამოძიებო ორგანო პროფესიულად დაინტერესებულია ფლობდეს მაქსიმალურ ინფორმაციას ფიზიკურ თუ იურ-

იდიულ პირთა მონაცემების, მათი საქმიანობის, კონტაქტების, ურთიერთობებისა თუ სხვა აქტივობების შესახებ. შესაბამისად, დიდია საფრთხე, რომ მაქსიმალური ინფორმაციის ფლობით ესოდენ დაინტერესებულმა სუბიექტმა, ინფორმაციის მოპოვების მექანიზმის მის ხელთ არსებობის შემთხვევაში, კანონით ნებადართულზე მეტი ინფორმაცია მოიპოვოს. ამასთან, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში სამართალდამცავი/საგამოძიებო სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, რომელიც თავის მხრივ სრულად კომპლექტდება და კონტროლირდება მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ, დიდია საშიშროება, რომ პირადი ცხოვრების ამსახველ/ პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის მექანიზმის სამართალდამცავ/საგამოძიებო სისტემაში არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მექანიზმი არა დემოკრატიულ სახელმწიფოში ლეგიტიმური მიზნების, არამედ სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის სურვილებისა და თვითნებური ინტერესების შესაბამისად იქნება გამოყენებული.

ამგვარი საშიშროების რეალურობაზე მიუთითებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში ოპოზიციური პოლიტიკური ძალების, ასევე მედიის, სასამართლოსა თუ სხვა ინსტიტუციების ცვლადი წარმომადგენლების პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის (უმეტესად - არაავთენტური და ფაბრიცირებული) უკანონოდ მოპოვების, გავრცელებისა თუ გავრცელების მუქარის გახშირებული ფაქტები. არც ერთი ასეთი ფაქტი არ ყოფილა ეფექტურად გამოძიებული და მასზედ არ დამდგარა დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პირადი ცხოვრების ამსახველ/პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის მექანიზმის უკანონოდ გამოყენებისათვის პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. ამგვარად, საჭიროდ მიგვაჩნია:

- პოლიციის ინსტიტუციური მოწყობისა და ფუნქციონირების მარეგულირებელ კანონმდებლობაში უნდა გატარდეს შესაბამისი ცვლილებები, ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულობის პირობებში, ამ უწყების მიერ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებების გან-

მახორციელებელი სამსახური - ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი გამოტანილი უნდა იქნას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან და ის უნდა ჩამოყალიბდეს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ ორგანოდ, მის საქმიანობაზე პარლამენტის, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორისა და სასამართლოს ეფექტური კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფით;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა ჩამოერთვას გამოძიების წარმოების ფუნქცია. მისი საქმიანობის კონცენტრირება უნდა მოხდეს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე - შიდა და გარე, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირების, ანალიზის, პრევენციისა და აღკვეთის გზით;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეალურად სახელმწიფოს და არა მმართველი პოლიტიკური ძალის სამსახურში ჩაყენების, ანუ მისი დეპოლიტიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია პარლამენტში შეიქმნას აღნიშნულ უწყებაზე ეფექტური საპარლამენტო ზედამხედველობის განმახორციელებელი მექანიზმი, როგორც ეს არსებობს ევროპის უმეტეს დემოკრატიულ სახელმწიფოებში (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმირების ზემოხსენებულ პოზიციებთან დაკავშირებით, საყურადღებოა არასამთავრობო სექტორის საინტერესო წინადადებები).

## გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა

დღეს საქართველოში მოქმედებს უწყებრივი საგამოძიებო სისტემა. პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფებთან ერთად, გამოძიებას აწარმოებენ იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროების საგამოძიებო ორგანოები. სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) ფუნქცია მხოლოდ პროკურატურას გააჩნია.

უწყებრივი საგამოძიებო სისტემის ძირითად ხარვეზს წარმოადგენს ინტერესთა კონ-

ფლიქტი, იმ თვალსაზრისით, რომ გამოძიებელი, რომელიც თავად არის ამა თუ იმ უწყების თანამშრომელი და შესაბამისად, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს, ახალისებს თუ სჯის მოცემული უწყების ხელმძღვანელი პირი, იძიებს იმავე უწყების საქმიანობასთან დაკავშირებულ, მათ შორის თავად ამ უწყების მოხელეთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტებს, რაც გამოძიების ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მხოლოდ პროკურატურის კომპეტენციად განსაზღვრა, თუმცა ამცირებს უწყებრივი გამოძიებისათვის დამახასიათებელი, ზემოხსენებული ინტერესთა კონფლიქტის ხარისხს (ბრალის წარდგენისა თუ ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილება უწყებრივად დაინტერესებულ გამოძიებელს არ გააჩნია), მაგრამ იგივე ინტერესთა კონფლიქტი რჩება იმ შემთხვევებში, როდესაც თავად პროკურატურის თანამშრომლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

არსებობს გარკვეული მოსაზრებები აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისა თუ მისი მინიმალიზების მიღწევის შესახებ. საყურადღებოა არასამთავრობო სექტორის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება - შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი სამართალდამცავი სისტემის, მათ შორის პროკურატურის მოხელეთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტების გამოსაძიებლად, რომელსაც იმავდროულად ექნება სისხლისსამართლებრივი დევნის კომპეტენცია. არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

ამგვარად, აღნიშნული პრობლემა საჭიროებს სისტემურ გადაწყვეტას. მაღალი სამართლებრივი კულტურის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს გამოძიების სისტემის რეფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მინიმალიზებას და მაქსიმალური ობიექტურობის მიღწევას, შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა მიერ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში.

ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატების“ მიზანი ქვეყნისა და მისი ყოველი მოქალაქის კეთილდღეობის ამაღლებაა. ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ სწორ გზად სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა მიგვაჩნია, რამაც უნდა უზრუნველყოს თითოეული მოქალაქისათვის კეთილდღეობის დონის ამაღლება - შემოსავლებისა და დაგროვილი დოვლათის ზრდა.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ 2017-2020 წლებში, დაბალი ინფლაციის პირობებში, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალური ზრდა შეადგენდეს 8%. ამავე დროს, უზრუნველყოფილი იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემო.

ჩვენ გვნამს, რომ ეკონომიკური განვითარების მიღწევაში უმთავრესი როლი კერძო სექტორს აკისრია. თუმცა, გვჯერა, რომ ვერც თითოეული მოქალაქის შემოსავლის ზრდა, ვერც სიღარიბის აღმოფხვრა ვერ მოხდება სახელმწიფოს მიერ კვალიფიციური და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გარეშე.

ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვს არა მარტო ქმედითი საგადასახადო თუ ფინანსური, ბიზნესის მასტიმულირებელი მექანიზმების განსაზღვრასა და ამოქმედებას, არამედ ყველა მოქალაქისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, მსოფლიო წარმატებული მაგალითების ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებას, პროფესიონალთა მომზადების ქმედითი მოდელების დანერგვას, ასევე ტექნოლოგიურ ადაპტირებასა და ინოვაციური პოტენციალის სრულად გამოყენებას - რისი უზრუნველყოფაც ქმედითი, პროფესიონალური და კომპეტენტური მართვის პირობებშია შესაძლებელი.

### “თავისუფალი დემოკრატების” ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგ ძირითად პრინციპებს ეფუძნება:

- საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა და დაცულობა;
- ბიზნესის კეთების თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნა;
- თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობის ხელშეწყობა;
- ბაზარზე ბუნებრივი წონასწორობის და ბაზრის ღიაობის უზრუნველყოფა;
- კონკურენტული ბაზრის ხელშეწყობი პროგნოზირებადი რეგულაციების შექმნა და იმპლემენტაციის პროცესში გამჭვირვალობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა;
- ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დანესების გზით ან თავისუფალი კონკურენციის არამართლზომიერად შეზღუდვით კანონისმიერი მონოპოლიების შექმნის დაუშვებლობა;
- ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება.  
აღნიშნული პრინციპების დაცვითა და ქმედითი და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის განხორციელებით შესაძლებელი გახდება ჩვენი უმთავრესი ამოცანის - ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის - მიღწევა, რაც გამოხატება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში, სიღარიბის შემცირებაში და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, სოციალურად დაუცველთათვის რეალური სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფაში.

**„თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ეკონომიკაში უზრუნველყოფთ შემდეგ ცვლილებებს:**

- ეკონომიკური ინსტიტუტების რეფორმირებას და მათი ეფექტიანობის ზრდას, რათა გადაიტარას ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის და სიღარიბის შემცირების პრობლემა;
- უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას 10 მილიარდით მომდევნო 4 წლის განმავლობაში;
- 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ზრდას მინიმუმ 4 მილიარდით;
- დასაქმებისა ზრდას;
- საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას და მის მნიშვნელოვან ზრდას საგარეო ვაჭრობაში;
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობას და კრედიტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეალურ ამოქმედებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას;
- გარე რისკების მინიმიზირების და გრძელვადიანი ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას და განვითარებას; ამასთან, პოლიტიკის მიზანმიმართული გადანყვევტილებების მიღებას, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოს, როგორც რეგიონალურ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას;
- ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქმედითი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებას და ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- რეგიონალური განვითარების დაჩქარებას, რეგიონების თანამედროვე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და მისი სეზონურობის ზრდას, რეგიონალური თავისებურებებიდან გამომდინარე;
- ონლაინ სესხებზე და ონლაინ კაზინოებზე რეგულირების გამკაცრებას.

**საგადასახადო სისტემის ოპტიმიზირება**

საგადასახადო სისტემა იქნება მარტივი, გამჭვირვალე და არაორაზროვანი. სრულად აღმოვფხვრავთ ბუნდოვანებებს საგადასახადო კოდექსსა და ნორმატიულ აქტებში. საგადასახადო ადმინისტრირება უნდა ემსახუროდეს საგადასახადო დისციპლინის შენარჩუნებას და არა ბიუჯეტში ნაკლები თანხების “ამოღებას”.

საგადასახადო სისტემის ოპტიმიზირების მიზნით, განხორციელდება რიგი ცვლილებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

- ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის (“ფინანსური პოლიციის”) გაუქმება - მიუხედავად იმისა, რომ “ფინანსური პოლიციის” ოფიციალური მანდატი გულისხმობს ეკონომიკური დანაშაულის პრევენციას, დადგენასა და გამოძიებას, რაშიც მოიაზრება ეკონომიკური თაღლითობის მუხლიც, “ფინანსური პოლიცია”, რეალურად, საგადასახადო ინსპექციის “ძალოვან ფრთას” წარმოადგენს და მხოლოდ გადასახადების ადმინისტრირების გამკაცრებას ემსახურება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბიზნესისთვის და ქვეყნის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისათვის სწორი იქნება, თუ გადასახადების ადმინისტრირება მთლიანად იქნება შემოსავლების სამსახურის პასუხისმგებლობა;
- გადასახადის გადაუხდელობის დეკრიმინალიზაცია - მიგვაჩნია, რომ გადასახადის არგადახდა, არასწორად გადახდა ან არადროულად გადახდა არ არის ეკონომიკური დანაშაული და მას, როგორც წესი, ობიექტური მიზეზები აქვს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ადექვატური (და არა გაბერილი) საჯარიმო სანქციებით უნდა შემოიფარგლოს, ესეც შესაბამისი დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ მართებულობაზე დასკვნის გამოქვეყნების შემდგომ;
- საგადასახადო ადმინისტრირების მონაცემთა ანალიზით შეფასებული გადაუხდელობის რისკზე დაფუძნებულ მონიტორინგზე გადასვლა - ჩვენ გვწამს, რომ ბიზნესი, უმეტეს შემთხვევაში, გადასახადების კეთილსინდისიერი გადაუმხდელია. განსაკუთრებული



შემთხვევების იდენტიფიცირება შესაძლებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე. ჩვენ დავწერგავთ გადასახადის გადამხდელის ქვევის სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გადამხდელის ადგილზე აუდიტების (რაც მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული როგორც ბიზნესისათვის, ასევე სახელმწიფოსათვის) აუცილებლობას.

### საგადასახადო შეღავათები:

- ბიზნესში რეინვესტირებული კაპიტალი მოგების გადასახადისაგან გათავისუფლდება;
- მიკრო ბიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირებს, რომელთა შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში იქნება 80,000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 30,000 ლარისა;
- მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვა იქნება 200,000 ლარამდე, ნაცვლად არსებული 100,000 ლარისა;
- შემცირდება ბრუნვაზე დაწესებული 3%-იანი გადასახადი და მნიშვნელოვნად შეიზღუდება დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნები.

### ფისკალური დისციპლინა

პროგრამული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმირებისას მნიშვნელოვანია ე. წ. ეკონომიკური ციკლების საწინააღმდეგო მიდგომა, რაც გამოიხატება ხარჯვითი ნაწილის დაგეგმილ და არა სპონტანურ ზრდაში. სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში ფისკალური დეფიციტი დაგეგმილზე ნაკლები იქნება. ასეთი მიდგომით ქვეყნის ეკონომიკა საგარეო შოკების მიმართ მდგრადი ხდება.

გარდა ამისა, ხარჯვით ნაწილში, აქცენტი გაკეთდება მინიმალურ ბიუროკრატიულ ხარჯებზე და სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ იმ პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც ეკონომიკურად ან სოციალურად ეფექტიანია და რომელსაც კერძო სექტორი არ და/ან ვერ ახორციელებს. უპირველეს ყოვლისა, განათლების სფეროსა და ინფრასტრუქტურულ პროექ-

ტებზე უნდა გამორიცხოს სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის კონკურენცია.

### ბიუროკრატიის ხარჯების შემცირება

საქართველოს მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების 30%-ზე მეტი იხარჯება სახელმწიფო ბიუროკრატიის დასაფინანსებლად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 4 წლიან პერსპექტივაში, ბიუროკრატიის ხარჯები (რაც განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტში ხელფასისა და საქონლისა და მომსახურების მუხლების ჯამით) არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების 25%-ს. ხოლო შემდგომ წლებში განხორციელდეს მისი ეტაპობრივი შემცირება 20%-მდე.

ჩვენი პროგრამის მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება 200 მლნ-ით პირველ წელსვე, ხოლო შემდგომი 3 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება დაამატებით 300 მლნ.-ით. დაბოგილი თანხები მთლიანად მოხმარდება ინფრასტრუქტურასა და განათლებაში ინვესტირებას.

მმართველობის სისტემის ოპტიმიზირება, პირველ რიგში, ნიშნავს სამინისტროებისა და უწყებების სტრუქტურის გამართვას, თითოეული თანამშრომლისათვის (მინისტრებისა და ზედა რგოლის მმართველობის ჩათვლით) სამუშაოს აღწერილობისა და შესრულების ინდიკატორების დაწესებას, ისევე, როგორც შეფასების სისტემის დანერგვას (მათ შორის, საზოგადოებისათვის წინასწარ დათქმული რეგულარობით ანგარიშის ჩაბარებას) და მათი ანაზღაურების 50%-ზე მეტის დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებაზე მიბმას.

### ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობისა და ხარისხის გასაზრდელად, განსახორციელებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, კერძოდ:

- თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და სტაბილური ბიზნესგარემოს არსებობის ხელშეწყობა და კონკურენტული ბაზრის

მხარდამჭერი პროგნოზირებადი რეგულაციების შექმნა;

- ძლიერი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული, „ერთი სარკმლის პრინციპით“ მოქმედი საინვესტიციო სააგენტოს ჩამოყალიბება, რომელიც ინვესტორებს დაეხმარება ბიზნესის გამართვაში და ხელს შეუწყობს საქმიანობის შემდგომ წარმართვაში. განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს საქართველოს საელჩოებისა და წარმომადგენლობების რესურსის გამოყენებას საზღვარგარეთ ინვესტიციების მოზიდვის საქმეში;
- საქართველოს მთელი ტერიტორიის იურიდიული კადასტრის განხორციელება. 3 წლის განმავლობაში მიწის აღწერა და საკუთრების უფლების დარეგისტრირება, არსებითად გაამკობესებს პროგნოზირებად საინვესტიციო გარემოს;
- ტალანტისა და ტექნოლოგიების იმპორტისათვის ფისკალური მოტივაციების მექანიზმების ამოქმედება:

ა) მაღალი დონის უფლებამოსილი პროფესიონალებისათვის, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ სამუშაოდ, საშემოსავლო გადასახადის შემცირება; ბ) მაღალ ტექნოლოგიურ წარმოებასა და იმპორტზე დღგ-ს განაკვეთის ნულამდე შემცირება;

გ) ინოვაციური ლაბორატორიებისა და ინკუბატორების ფუნქციონირების ხელშეწყობა სტარტაპებში თანადაფინანსების უზრუნველყოფით;

- ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა საპენსიო რეფორმის გახორციელების პარალელურად, ადგილობრივი, გრძელვადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობის მისაღწევად;
- სპეციფიურ, მოთხოვნად სპეციალობებზე ლიცენზირებული სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა საჯარო-კერძო სექტორების პარტნიორობის ფარგლებში პროფესიული სკოლების ოპერირებით;
- ინფრასტრუქტურის დარგში დაბანდების გასაზრდელად დონორ ორგანიზაციებთან

აქტიური თანამშრომლობა და ინფრასტრუქტურული პროექტების დროული და ხარისხიანი გახორციელება;

- მნიშვნელოვანი და მაღალეფექტიანი (როგორც ეკონომიკაში წილის, ასევე სხვა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით) ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მნიშვნელოვანია კონკრეტული სექტორის წამყვან კომპანიებთან პირდაპირი მოლაპარაკება. იმ მაღალი დამატებული ღირებულების სექტორებში, რომლებიც საქართველოში განვითარებული არ არის (მაგ. კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, კომპლექსური ნაწილების წარმოება და ა.შ.) კაპიტალდაბანდების გასაზრდელად განხილულ იქნება მასტიმულირებელი მექანიზმები, როგორცაა შეღავათიანი პერიოდები, საგადასახადო კრედიტები და გრანტები კვლევებისა და ტრენინგის დასაფინანსებლად. მექანიზმები ამოქმედდება მხოლოდ თავდაპირველად დასახული ამოცანების შესრულების პირობით და გავრცელდება როგორც უცხოურ, ისევე ადგილობრივ კომპანიებზე.

### **პროფესიონალთა მომზადება, ტექნოლოგიები და ინოვაციები**

ტექნიკური განათლების დონის ამაღლება, ისევე, როგორც ტექნოლოგიური ადაპტირება და ინოვაციური კომერციული პროექტებისა თუ სტარტ-აპების განვითარება მსოფლიო ბრდის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგებში მთავარი მოთამაშე კერძო სექტორი დარჩება, აუცილებელია განათლებისა და ინოვაციების დარგში კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის, ტექნოლოგიური სასწავლებლებისა და ინოვაციური პროექტების კერძო სექტორთან ერთობლივი დაფინანსება.

ჩვენი პროგრამის მიხედვით, ამოქმედდება ინოვაციებში ინვესტორებისა და ვენჩურული ფონდების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლის მიხედვით მთლიანი საინვესტიციო კაპიტალის 50%-ს სახელმწიფო დააფინანსებს.

სოციალური დახმარების სისტემამ უნდა მოიცვას საზოგადოების ყველა ის ფენა, რომელიც რეალურად საჭიროებს ასეთ დახმარებას. სოციალური მდგომარეობის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს მრავალფაქტორიანი მოდელი, რომელიც შეიქმნება საქართველოში უკვე მოქმედი სოციალურად გაჭირვებული ოჯახების შეფასების სისტემის ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფის გზით.

ძველი ტელევიზორისა თუ მაცივრის არსებობა ოჯახში, ან რაიმე ერთჯერადი ხელფასი თუ დახმარება სოციალურად დაუცველი პირის ან მისი ოჯახისათვის არ უნდა ქმნიდეს სოციალური დახმარების გაუქმების საფუძველს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბაზა, შეფასების სისტემის გათვალისწინებით, დიფერენცირებული იქნება კატეგორიებად. ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველ პირთა შეფასების, მომსახურებისა და ადმინისტრირების ფუნქციები მუნიციპალურ ორგანოებს ექნებათ დელეგირებული.

ჩვენ განვახორციელებთ სოციალური საცხოვრებლის პროგრამას, რომელიც თანმიმდევრულად აღმოფხვრის უსახლკართოა და დევნილთა ბინადრობის პრობლემებს. სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები.

**მომავალი 4 წლის განმავლობაში  
“თავისუფალი დემოკრატები”:**

- განვსაზღვრავთ აუცილებელ საარსებო მინიმუმს 250 ლარით (დღეს არსებული 160 ლარის ნაცვლად);
- მინიმალურ ხელფასს განვსაზღვრავთ 500 ლარის დონეზე. ვეღარავინ ამუშავებს ჩვენს

მოქალაქეს საათში 3 ლარზე ნაკლებად;

- მოქალაქეებისათვის ქონების უზრუნველყოფით მიღებულ სესხებზე საბანკო კრედიტების გადახდის ტვირთის შემსუბუქების მიზნით, ბანკის სესხის პროცენტს არ დავბეგრავთ საშემოსავლო გადასახადით, რის შედეგადაც, ჩვენი გათვლებით, მოქალაქეს ყოველთვიურად დაეზოგება საშუალოდ 100 ლარამდე, რაც უდრის წელიწადში 1200 ლარს;
- განვახორციელებთ სამართლიანი და მიზნობრივი სოციალური დაცვის პროგრამას. შემწეობა აღუდგება ყველა იმ პირს თუ ოჯახს, რომელთაც უსამართლოდ წაართვა ეს სტატუსი ხელისუფლებამ;
- გავაუმჯობესებთ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის კრიტერიუმებს. გაუმჯობესებული კრიტერიუმების საფუძველზე სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირს აღარ მოუწევს სახლის, საყოფაცხოვრებო ნივთის (ტელევიზორის, მაცივრის და სხვა), შინაური ცხოველის გაყიდვა, რათა შეძლოს გამოკვების ოჯახი და იყიდოს საჭირო წამალი;
- საქართველოში ბავშვების 13%, ანუ დაახლოებით 50 000 ბავშვი ქრონიკულ სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო 200,000 ბავშვი სიღარიბეში. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ 2020 წლისათვის საქართველოში არცერთი ბავშვი არ იცხოვრებს უკიდურეს სიღარიბეში, რისთვისაც ყოველწლიურად 50 მილიონი ლარის დამატებით ხარჯს გავწევთ;
- არც ერთი დევნილი არ უნდა დარჩეს საცხოვრებლის გარეშე. მათ დაუკანონდებათ ის საცხოვრებელი ფართობები და დამხმარე ნაგებობები სახელმწიფოს ბალანსზე რიცხულ იმ შენობებში, რომლებიც ამჟამად უკავიათ;
- აღვადგინთ და გავზრდით ვეტერანებისათვის მოხსნილ შეღავათებს.

მიუხედავად დაპირებებისა, ქვეყანას დღემდე არ გააჩნია არც სახელმწიფო (სავალდებულო) და არც კერძო (ნებაყოფლობითი) საპენსიო დაზღვევის ერთიანი სისტემა. 2004 წლიდან საქართველოში გაუქმებულია სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და სოციალური (საპენსიო) დაზღვევის შენატანი. ამიტომ არ გაგვაჩნია სახელმწიფო პენსიის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი განმარტებაც კი და ის გაიგივებულია ხანდაზმულთათვის სახელმწიფო შემწეობასთან. დღეს სახელმწიფო პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ნება-სურვილზე.

სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას პენსიონერს ღირსეული არსებობის პირობები. ეს შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის უზ-

რუნველყოფით, რაც პროპორციულად აისახება მინიმალური პენსიების ზრდაში.

### **პენსია გახდება 300 ლარი და ინფლაციის შესაბამისად გაიზრდება ყოველწლიურად.**

ჩვენ ასევე განვახორციელებთ საპენსიო რეფორმას, რომლის შედეგად ჩამოყალიბდება დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც დაეფუძნება მოსახლეობის ნებაყოფლობით საპენსიო დაზღვევას და მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება სამი პილარი: საბაზისო (სახელმწიფო პენსია), სავალდებულო საპენსიო შენატანი და მოქალაქის ნებაყოფლობითი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილების არსებულ მდგომარეობას თუ შევასახებთ, ნათელი გახდება ის გარემოება, რომ დევნილების საკითხი ვერა და ვერ გახდა სახელმწიფოს პრიორიტეტული ზრუნვის ობიექტი. სახელმწიფო სტრატეგია დევნილთა მიმართ, როგორც წესი, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და ძირითადად ორიენტირებულია უკიდურესად გართულებული პრობლემების განეიტრალებაზე, რაც მხოლოდ დროებითი ეფექტის მატარებელია. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის არსებულ მოდელს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ის აბსოლუტურად არარელევანტურია იმ ფუნდამენტური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დევნილი მოსახლეობის წინაშე დგას.

დევნილთათვის განსახლების პრობლემის გადაჭრა და მათი დასაქმების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება, პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვს. ამდენად, აუცილებელია, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს, მოიცავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს და მაქსიმალურად ემყარებოდეს ორ ამოსავალ პრინციპს. პირველი - დევნილთათვის კონსტიტუციური და პოლიტიკური უფლებების აღდგენა და მეორე - სოციალურად დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა და საზოგადოებრივად აქტიური მოქალაქეებისათვის განვითარების პერსპექტივის შექმნა. ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია აქტიური და მოტივირებული, თვითმყობადი და საკუთარი საქმიანობის სფეროში წარმატებული დევნილების მხარდაჭერას ისახავდეს მიზნად.

ბემოთქმულიდან გამომდინარე, დევნილთა მიმართ „თავისუფალი დემოკრატიების“ სტრატეგიაში ასახვა ჰპოვა შემდეგმა პრიორიტეტულმა მიმართულებებმა:

### **1. საარჩევნო უფლების დაბრუნება;**

დევნილებს თითქმის 25 წელია ჩამორთმეული აქვთ ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლება - აირჩიონ და არჩეული იყვნენ აფხაზეთის ა/რ წარმომადგენლობით სტრუქტურაში. ეფექტური წარმომადგენლობითი ხელისუფლების არყოლა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ დაუცველია დევნილთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სოციალური ინტერესები. არსებული კრიზისის დასაძლევად და დევნილთა პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათთვის საარჩევნო უფლების დაბრუნება - აფხაზეთის ა/რ წარმომადგენლობითი ორგანოს (უმაღლესი საბჭო) არჩევნების ჩატარება.

### **2. წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების გაფართოება**

ოკუპირებული ტერიტორიიდან - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოს მიენიჭება უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მოლაპარაკებაში, ასევე, დევნილთა მიმართ სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

### **3. დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა**

ოფიციალური მონაცემებით, დღეის მდგომარეობით (25 წლის მანძილზე!), მხოლოდ 20% -მდე დევნილს გადაეცა საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი. ამ ფართის მხოლოდ მცირედი აკმაყოფილებს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რისი ვალდებულებაც ხელისუფლებამ უკვე რამდენიმე წელია აიღო საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ამდენად, დევ-

ნილების სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (როგორც ამას საერთაშორისო ვალდებულება მოითხოვს) შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება შეცვლის სტრატეგიას და დაიწყებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას.

#### **4. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის წარმართვა;**

საქართველოს მოქალაქეებს უკიდურესად დისკრიმინაციულ პირობებში უწევთ ცხოვრება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დაუცველია მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პოლიტიკური, ეკონომიკური, გამოხატვისა და საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამდენად, უმნიშვნელოვანესად მივიჩნევთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ეფექტური ანტისაოკუპაციო და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის წარმართვას.

#### **5. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის ჯანდაცვის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;**

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს. ამდენად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის, ჯანდაცვის სფეროში შემუშავდება ერთიანი სტანდარტების სახელმწიფო პროგრამა.

#### **6. დასაქმების ხელშეწყობა;**

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს არა მხოლოდ დევნილებში, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, შედეგის თვალსაზრისით, ეფექტური იქნება, თუ მოვახდენთ მათ დიფერენციაციას და დევნილ მოსახლეობას შევთავაზებთ დასაქმების უშუალოდ მასზე ორიენტირებულ მექანიზმებს, კერძოდ:

- დაწესდება საგადასახადო შეღავათები ოკ-

უპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული იმ პირებისათვის, რომლებიც საკუთარი ბიზნესის ფარგლებში დაასაქმებენ 10 და მეტ დევნილს;

- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში, დევნილებს მიეცემა პროფესიული განათლების დაუფლების საშუალება;
- დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმებიან უშუალოდ დევნილები.

#### **7. დევნილთა ყოველთვიური ფულადი შემწეობის გაზრდა**

დევნილთა შემწეობა (რომელიც ამჟამად 45 ლარით განისაზღვრება) მზარდი ინფლიაციის შედეგად, სულ უფრო კარგავს თავის მსყიდველობით უნარიანობას და დღეისათვის სიმბოლურ თანხად გვევლინება. ის ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც ყოველთვიური ფულადი დახმარების ცნება გულისხმობს. ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნება ინფლიაციის მაჩვენებელი და დევნილების შემწეობის თანხა განისაზღვრება მასთან მიმართებაში.

#### **8. აფხაზეთის ომის ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამა;**

აფხაზეთის ომის ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება მათთვის დაწესებული სოციალური, ეკონომიკური და საგადასახადო შეღავათები.

#### **9. დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების საკუთრებაში გადაცემა;**

დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების საკუთრებაში გადაცემის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად არაერთი წელია რეგულირებულია, მაინც არამართლზომიერად მიმდინარეობს და, ხშირ შემთხვევებში, დევნილთა სურვილისა და მოთხოვნის მიუხედავად, არ გადაეცემა მათ კერძო საკუთრებაში. განხორციელდება აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ლიბერალიზაცია და ყველა ის კომპაქტური ჩასახლების ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს განსაკუთრებული დანიშნულების სახელმწიფო ობიექტს, დევნილებს მათი გან-

ცხადების საფუძველზე გადაეცემათ კერძო საკუთრებაში.

### **10. სოფლად საცხოვრებელი ფართით და მიწის ნაკვეთით უზრუნველყოფა;**

შეიქმნება სოფლად საცხოვრებელი ფართით და მიწის ნაკვეთით დევნილთა უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც განისაზღვრება სოფლად დასახლების მსურველი დევნილისათვის საცხოვრებელ ფართთან ერთად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით უზრუნველყოფისა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლება.

### **11. დევნილთათვის კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი კორპუსის მომიჯნავე კომერციული დანიშნულების ფართის და მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა;**

დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტების დაკანონების შემდგომ ვერ ხერხდება მიმდებარე კომერციული დანიშნულების ფართებისა და მიწის სამართლებრივი ათვისება, აღნიშნული მიმართულებით სამართლებრივი ნორმების ლიბერალიზაცია მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს დევნილთა ადგილზე დასაქმებას და დაეხმარება მცირე ბიზნესის განვითარებას.

### **12. დევნილთათვის მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;**

დევნილთათვის შეიქმნება მცირე ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის ფონდი, რომლის ფარგლებშიც საკონკურსო პირობებით დაფინანსდება (დაბალპროცენტიანი სესხი) მცირე ბიზნეს გეგმები და ინოვაციური პროგრამები.

### **13. დევნილებში ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა;**

როული ფინანსური მდგომარეობის გამო, დევნილი ოჯახები ძირითადად ვერ ახერხებენ ბავშვების სხვადასხვა სპორტულ სექციებში მიყვანას. მძიმე სოციალური პირობების მქონე ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სახელმწიფო ვაუჩერით.

### **14. ელექტროენერჯის გადასახადის ვაუჩერიზაცია;**

ელექტროენერჯიაზე ფასების მკვეთრი ზრდა, ძირითადად, მძიმე ტვირთად დაანჯათ კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს. ვინაიდან მათთან ხშირ შემთხვევაში არ განხორციელებულა გაზიფიცირების პროცესი და, ამდენად, არ გააჩნიათ ელექტროენერჯის ალტერნატიული საშუალებები, ელექტროენერჯის საფასურის გადახდისას, ზამთრის პერიოდში, აღდგება დევნილების ვაუჩერებით დახმარების პრაქტიკა.

დღეს, მიუხედავად მთავრობების არაერთგზის მცდელობისა, საქართველოს მოქალაქეებისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა არათანაბარია. ეს ეხება როგორც ფინანსურ, ასევე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. სხვადასხვა რაიონის მაცხოვრებლებისათვის რიგი სამედიცინო სერვისების მიღება არა თუ საცხოვრებელი ადგილის, არამედ მათი რაიონის ფარგლებშიც შეუძლებელია.

მიუხედავად მთავრობის მიერ დეკლარირებული სამედიცინო სერვისების უნიფიცირებული ფასებისა, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ამ სერვისის მიღება სხვა რაიონში ან დიდ ქალაქებში უწევს, სერვისები უძვირდება მგზავრობისა და ადგილზე დაყოვნების გამო. მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე, ბევრი მოქალაქე უარს ამბობს საჭირო სამედიცინო სერვისის მიღებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებს.

ამ პრობლემას თან ერთვის არსებული სამედიცინო სერვისების დაბალი ხარისხი.

რაიონებში მომუშავე მედპერსონალი მოკლებულია პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, რადგან ასეთი სერვისები არსებობს მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ამას ერთვის საშუალო მედპერსონალის - ექთნების, დეფიციტი და დაბალი კვალიფიკაცია.

ზემოთ მოყვანილი პრობლემები ურთიერთდაკავშირებულია, რადგან სერვისების და უწყვეტი სამედიცინო განათლების არარსებობა იწვევს ექიმ - სპეციალისტების და ექთნების დეკვალიფიკაციას, რაც, ასევე, იწვევს მედპერსონალის გადინებას ან მათი კვალიფიკაციის გაუარესებას. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების სწორ განაწილებას. მიგვაჩია, რომ დღეს არსებული „საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამა“ არასამართლიანია, რადგან ვერ ხდება თანხების ბუსტი გადანაწილება ბენეფიციარის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ასე, მაგალითად, მოქალაქეს, რომლის

თვიური შემოსავალი 400-500 ლარია, სამედიცინო სერვისის სარგებლობისას „საკუთარი ჯიბიდან“ გადასახადი იმდენივე აქვს, რამდენიც მოქალაქეს, რომლის შემოსავალი 5000 ლარი ან მეტია. ფაქტია, რომ სამედიცინო სერვისში ერთჯერადად „გადასახადი ტვირთი“ ბევრად უფრო მძიმეა მონყვლადი და მცირეშემოსავლიანი პაციენტისათვის.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამედიცინო სერვისების ხარისხი. ცნობილია, რომ ხარისხიანი სამედიცინო სერვისი, მიუხედავად მისი შესაძლო შედარებითი სიძვირისა, საბოლოოდ, ბევრად უფრო იაფია როგორც პაციენტისათვის, ასევე ბიუჯეტისთვის. მისაღწევია სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესება როგორც პირველად, ასევე მეორეულ და რეფერალურ დონეზე.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ ამოცანად ვისახავთ, 2016 - 2020 წლებში ახალი ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის გატარებით მივალნიოთ შემდეგ შედეგებს:

- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა და სერვისების საყოველთაობის უზრუნველყოფა;
- ფინანსების სამართლიანი განაწილება;
- ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონეზე;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების სტიმულირება;
- საპენსიო პოლიტიკის კარდინალური შეცვლა;
- სოციალურად დაუცველ მოსახლეობისათვის დახმარების ოდენობის რეალურ საცხოვრებელ მინიმუმამდე გაზრდა და მიზანმიმართული მუშაობა ასეთი ოჯახების რაოდენობის შემცირებაზე.

ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების თანმიმდევრული გადაჭრისათვის საჭიროა:

- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა და სერვისების საყოველთაობა. არსებული საბიუჯეტო თანხების სწორად და ეფექტურად გამოყენებისათვის შემუშავდება საბაზისო პაკეტი, რომლის დაფინანსება



მოხდება მოსახლეობის ფინანსური შემოსავლების პროპორციულად. სახელმწიფო 100%-იანი დაფინანსება მიეცემა უმწეოებს, პენსიონრებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, ბავშვებს 5 წლამდე;

- დანარჩენი მოსახლეობის თანაგადახდის წილი დაანგარიშებული იქნება შემოსავლების გათვალისწინებით. რეფორმირდება პირველად ჯანდაცვაში არსებული სერვისების დაფინანსება და არსებული გამოწვევების შესაბამისი გახდება. შემუშავდება პირველადი მოხმარების მედიკამენტების სია და მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფებისთვის გაიცემა არა ნაკლებ 50%-იანი ფასდაკლებით;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რაიონულ და ადგილობრივ დონეზე მიწოდებული სამედიცინო სერვისების ხარისხის მკვეთრ ამაღლებას და მათ რაოდენობრივ ზრდას - ხელი შეუწყობა პირველადი ჯანდაცვის რგოლის მედპერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მატერიალურ სტიმულირებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. აქ აღსანიშნავია დისტანციური ONLINE მომსახურების და სწავლების მასიური დანერგვა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით;
- შემუშავდება და დაინერგება სამედიცინო მონაცემთა აღრიცხვის ერთიანი უნივერსალური ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი და ადვილად გამოყენებადი იქნება ყველა სამედიცინო დაწესებულებისათვის.

### **სახელმწიფო დაფინანსების სამართლიანი განაწილება**

შემოღებული იქნება საყოველთაო დაზღვევა - საბაზისო პაკეტი, დაფუძნებული მომსახურების თანხების სამართლიანი გადანაწილების პრინციპზე, რაც გულისხმობს ბენეფიციარის მიერ თანაგადახდის ოდენობის დიფერენცირებას მისი შემოსავლების მიხედვით. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უმწეოებს, პენსიონრებს, ბავშვებს 5 წლამდე, I და II ჯგუფის ინვალიდებს სამედიცინო სერვისების საფასურს

სახელმწიფო 100% - ით დაუფინანსებს. ამ მოდელით ხელი შეუწყობა ქვეყანაში კერძო სამედიცინო დაზღვევის სწორ განვითარებას. მოსახლეობას მიეცემა საშუალება, თვითონ აირჩიოს სადაზღვეო კომპანია, რომელიც მიმართავს სადაზღვეო შენატანს როგორც თანაგადახდის, ასევე დამატებითი პაკეტით გათვალისწინებული სერვისების საფასურის დასაფარავად. ეს ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის წარმოქმნას როგორც სადაზღვეო კომპანიებს, ასევე სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს შორის.

### **ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონეზე**

• ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფოს მიერ ხარისხის კონტროლის გაძლიერებით მოხდება. ამაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული დარგობრივი ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფო ხელს შეუწყობს და ფინანსურად წაახალისებს თანამედროვე პროტოკოლების და გაიდლაინების დანერგვას. უნდა მოხდეს სამედიცინო შეცდომების პროფესიული (და არა სატელევიზიო) განხილვა და, ასევე, სისტემატურად გამოქვეყნდეს როგორც სამედიცინო, ასევე სასწავლო დაწესებულებების რეიტინგები.

### **მედიკამენტების გაიაფება და მათი ხარისხის კონტროლი**

ჩვენ მიერ შემუშავდება და გამოქვეყნდება პირველადი მოხმარების მედიკამენტების სია, რომელსაც შეისყიდის სახელმწიფო. ეს მედიკამენტები დარიგდება პირველადი ჯანდაცვის რგოლში და მიეცემა პაციენტებს უფასოდ (ოჯახის ექიმის მიერ - საჭიროებისამებრ). ამ პრაქტიკის დასაანერგავად გამოყენებული უნდა იყოს ქვეყანაში დღეს არსებული ვაქცინების შესყიდვის და გავრცელების პოზიტიური გამოცდილება. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში წამლების გაიაფებას და მათ გარანტირებულად მაღალ ხარისხს.

## სოფლის მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესება

საჭიროა ყველა ამბულატორიის აღჭურვა აუცილებელი აპარატურით, სოფლის ექიმის და ექთნის ხელფასის მნიშვნელოვანი გაზრდა ( 600-დან 1500 ლარამდე; 300- დან 600 ლარამდე). მოხდება პირველადი ჯანდაცვის ძირეული განახლება და „გამოცოცხლება“. სახელმწიფო დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართული იქნება სოფლის, თემის და მცირე ქალაქებში არსებული ამბულატორიებისა და პოლიკლინიკებისკენ. გაორმაგდება სოფლის ექიმების და ექთნების ხელფასები. დიდ ქალაქებში ხელი შეუწყობა ოჯახის ექიმების სამსახურების გაძლიერებას და მათ დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან. სოფლის და პატარა ქალაქების მაცხოვრებლებს გაუმჯობესდებათ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. ყველა ის სამედიცინო სერვისი, რომელიც მათ მიეწოდებათ ადგილზე, საერთო ეროვნული სტანდარტების შესაბამისი იქნება. ამისათვის ხელი შეუწყობა სოფლების და მცირე ქალა-

ქების ამბულატორიების საჭირო თანამედროვე აპარატურით აღჭურვას. ამ დაწესებულებებში მომუშავე ექიმების და ექთნების ცოდნის გაღრმავება იქნება უწყვეტი, ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

## უწყვეტი პროფესიული განვითარების სტიმულირება

სახელმწიფო ხელს შეუწყობს რეგიონებში პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნას. შემუშავდება ექიმების და ექთნების მატერიალური ნახალისების (და არა დასჯის) სისტემა. დარგობრივ ასოციაციებთან ერთად შემუშავდება რეზიდენტების სამუშაოს ფინანსური ანაზღაურების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საექთნო საქმის განვითარებას. სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს ექთნების პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას. ექთნის პროფესია გახდება მოთხოვნადი, მაღალანაზღაურებადი და მაქსიმალურად მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს.

მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ნარკოპოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპებს. ამისათვის საჭიროა:

- ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეფორმა, კერძოდ:
  - ყველა სახის ნარკოტიკის მოხმარებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება (დეკრიმინალიზაცია);
  - ნარკოტიკების გამსაღებლების და გამავრცელებლების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამკაცრება;
  - ერთჯერადი მოხმარების მინიმალური ადეკვატური დოზის განსაზღვრა;
  - ნარკოტიკების მოხმარებისათვის და მცირე ოდენობის პირადი მოხმარებისთვის, შეძენა/შენახვისათვის, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების დიფერენცირება (მაგ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოხმარება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა და სხვა).

- ნარკოდამოკიდებულთათვის ხარისხიანი სამედიცინო და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კერძოდ:
- მკურნალობის, რეაბილიტაციის და ზიანის შემცირების პროგრამების ლეგალური ბაზის შემუშავება და რეგულაციების დახვეწა;
- პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით;
- სარეაბილიტაციო (ამბულატორული, რეზიდენტური და ასევე კომუნის ტიპის) ცენტრების სისტემის დაფუძნების ხელშეწყობა;
- სასჯელაღსრულების სისტემაში მკურნალობის და რეაბილიტაციის სისტემის ცვლილებები თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით.

ასევე, მნიშვნელოვანია ნარკოტიკების მოხმარების საკითხზე, მათი გამოყენებით გამონვეულ ზიანზე და რისკებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

განათლება ქვეყნის განვითარებისთვის მთავარია. თანამედროვე სამყაროში სწორედ განათლება წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური წინსვლის აუცილებელ წინაპირობას. ამის გათვალისწინებით განათლების სისტემის ტრანსფორმაციისა და განვითარების ჩვენი კონცეფცია რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს ეყრდნობა:

- თანამედროვე განათლება ადამიანის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის შეუცვლელ საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ განათლების სისტემა უნდა იყოს მიმართული იქით, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის მიერ განათლების მიღებასა და გაუმჯობესებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ჩვენი განათლების კონცეფცია ამ მიმართულებით სისტემური, თანმიმდევრული და შედეგებზე გათვლილი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებს;
- ადამიანის უფლებაა, ხარისხიანი, თანამედროვე განათლების საშუალებით უზრუნველყოს საკუთარი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, სათანადო სამუშაოს პოვნა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამიტომ განათლების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების მოთხოვნებს, ასევე შრომის ბაზარსა და ქვეყნის განვითარების ტენდენციებს. ამისათვის კი საჯარო რესურსები უნა იხარჯებოდეს განათლების როგორც შედარებით გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი გეგმების განხორციელებაზე. ეს ხარჯვა უნდა იყოს ღია და ეფექტიანი, რათა განათლების სფეროში სახელმწიფოსა და საზოგადოების ამოცანებთან ერთად მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული თითოეული ადამიანის (აღსაზრდელის, მოსწავლის, სტუდენტის თუ მსმენლის) ინდივიდუალური მისწრაფებები და შესაძლებლობები;
- აუცილებელია, რომ განათლების სისტემაში რეფორმები მრავალმხრივი მსჯელო-

ბის, საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფების მონაწილეობით განისაზღვროს და განხორციელდეს. განათლების სისტემა უნდა განვითარდეს, როგორც ერთიანი, მთლიანი და მოქნილი სისტემა, რომელშიც, ამავე დროს, ცალკეული სექტორების ტრანსფორმაცია და განვითარება მათი შინაგანი ლოგიკის გათვალისწინებით მოხდება. განათლების საფუძვრები იმგვარად უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ სისტემის მთლიანობასა და განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფდეს. მხოლოდ ასე მივაღწევთ თანამედროვე, კარგ და ხელმისაწვდომ განათლებას ჩვენი მოქალაქეებისთვის მათი ეროვნების, სქესისა და ასაკის მიუხედავად;

- საზოგადოებრივი განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანეს ფიგურას პედაგოგი წარმოადგენს. განათლების ნებისმიერი სისტემის წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პედაგოგები ჰყავს ქვეყანას და რამდენად ადეკვატურადაა მათი შრომა დაფასებული. ამიტომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა პედაგოგის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და, ამასთან ერთად, პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობისა და სოციალური სტატუსის სათანადოდ ამაღლება;
- განათლების სისტემის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჩამოყალიბებას თავისუფალ, განათლებულ პიროვნებად, რომლებიც ეზიარებიან ჩვენს კულტურას და, თანაც, ღირსეულ ადგილს დაიკავებენ თანამედროვე, განვითარებულ, დასავლურ სამყაროში.

თავისუფალი დემოკრატები ვამბობთ, რომ ჩვენთვის ხელისუფლებაში მოსვლა არა მიზანია, არამედ საშუალებაა, რათა განვახორციელოთ სახელმწიფოს ძირითადი სისტემების, მათ შორის, განათლების სისტემის გატარება და განვითარება საზოგადოების უშუალო, ქმედითი მონაწილეობით. განათლების სისტემის სწრაფი და არსებითი გაუმჯობესება არის ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის, მთელი ჩვენი საზოგადო-

ების განვითარების აუცილებელი პირობა და სანინდარი. ამიტომ განათლება უნდა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა გადაიქცეს. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში არ უნდა იყოს 4%-ზე დაბალი. უახლოესი 4 წლის განმავლობაში მინიმუმ 400 მილიონით მეტი უნდა მოხმარდეს მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ თანამედროვე და ხარისხიანი განათლების მიღებასა და მასწავლებელთა ხელფასების განუხრელ ზრდას.

### საზოგადოების მეტი ჩართულობა განათლებაში

განათლების პოლიტიკის შემუშავებასა და განათლების სისტემის ფუნქციონირებაში მკვეთრად უნდა გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა. ეს გულისხმობს განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესის სრულყოფას და მასში საექსპერტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას; სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და განვითარებაში მშობლების და, ზოგადად, ადგილობრივი თემის მონაწილეობის ხარისხის გაზრდას; უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში სტუდენტების რეალური მონაწილეობის უზრუნველყოფას და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, განათლების სფეროში პროფესიული ასოციაციების მონაწილეობის გაძლიერებას.

მხოლოდ დროულად და ამომწურავად ინფორმირებული საზოგადოება შეძლებს განათლების სისტემის განვითარების პროცესში მიღებული შედეგებით სრულფასოვნად სარგებლობას. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰქვოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ყველა დაინტერესებული მხარის ოპერატიულად ინფორმირება. ამისათვის სისტემაში მიმდინარე პროცესების და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება უნდა ხდებოდეს თანამედროვე, კარგად აპრობირებული ინსტრუმენტებით და სწორად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.

### საყოველთაო სკოლამდელი განათლება

ჩვენი მიზანია, ჩამოვაყალიბოთ საყოველთაო სკოლამდელი განათლების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველჰქვოდეს ბავშვების სასკოლო განათლებისთვის მზადყოფნას და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციასა და სწავლის გაუმჯობესებას დაწყებით სკოლაში. ამისათვის კი რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადაიდგას:

კანონმდებლობის დონეზე უნდა განისაზღვროს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო დაწესებულებების დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; ასევე უნდა განისაზღვროს სკოლამდელი აღზრდის კერძო დაწესებულებების დამოუკიდებლობა პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით:

- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს დაფინანსება როგორც ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობის, ასევე არსებული შენობების რეაბილიტაციის მიზნით;
- უნდა შემუშავდეს საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის სამართლიანი და ეფექტიანი მექანიზმები;
- სახელმწიფომ მოსახლეობას უნდა შესთავაზოს სკოლამდელი აღზრდის სხვადასხვა მოდელი;
- შემუშავებულ უნდა იქნას სკოლამდელ აღზრდაში კერძო სექტორის მონაწილეობის კონკრეტული სტრატეგია;
- მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო-სააღმზრდელო სტანდარტები და პროგრამები ორიენტირებული იყოს აღსაზრდელების ინდივიდუალურ უნარებსა და შესაძლებლობებზე, და ეფუძნებოდეს ადგილობრივ გამოცდილებას, სიტუაციურ მაგალითებს. ამ სტანდარტებსა და პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. სასწავლო-სააღმზრდელო სტანდარტებსა და პროგრამებში შემუშავებული და განხორციელებული იქნება ინკლუზიური განათლების გრძელვადიანი სტრატეგია.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განვითარდება თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ხოლო გარემო ადაპტირებული იქნება ბავშვების განვითარების ასაკობრივ მოთხოვნებთან, მათ შორის შშმ ბავშვების საჭიროებებთან;

- აღსაზრდელების ბაგა-ბაღში რეგისტრაციის პროცესში გათვალისწინებული იქნება ტერიტორიული ფაქტორი და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისთვის შეიძლება ქმნიდეს დაბრკოლებას;

ჯგუფებში აღსაზრდელო დასაშვები რაოდენობის შესახებ სამართლებრივი ნორმის ამოქმედების ეტაპისთვის მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ბავშვების სისტემიდან გარიყვის სანი-ნაალმდეგო მექანიზმები;

- აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვების რაოდენობასთან თანაფარდობის სამართლებრივი ნორმის ამოქმედების ეტაპისთვის მნიშვნელოვანია, შეიქმნას შესაძლო საკადრო დეფიციტის პრევენციის მექანიზმები;
- მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ნაყოფიერი სისტემის ამოქმედება. უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე თანამშრომელთა სოციალური დაცვის მექანიზმების, შრომის ანაზღაურებისა და ნახალისების სამართლიანი სისტემის ფორმირება, ხოლო კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში არასამთავრობო და კერძო სექტორის, ასევე აკადემიური სფეროს ჩართვის ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება. ზრუნვის საგანი უნდა გახდეს სკოლამდელი აღზრდის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტიმულირება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული საკმაოდ მოკლე ვადის მიუხედავად სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი უნდა წარიმართოს მაქსიმალურად ობიექტურად, სამართლიანად და გამჭვირვალედ;
- სკოლამდელი განათლების სისტემაში უნდა გატარდეს დეცენტრალიზაციის პოლიტიკა; სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების კოორდინაციისა და თანამშრომლობის ფორ-

მატი; უნდა გაიზარდოს საჯარო დაწესებულებისა და მისი ადმინისტრაციის ავტონომიის ხარისხი.

## უკეთესი სკოლა, გზა წარმატებული კარიერისა

სკოლებს უნდა მიეცეთ მეტი დამოუკიდებლობისა და განვითარების საშუალება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა მოსწავლეთათვის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული სკოლები ხარისხობრივი და თვისებრივი მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არ შეიძლება ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი მიდგომები და განათლების პოლიტიკის პრაქტიკა იყოს უნიფიცირებული. შესაბამისად, სკოლების მოტივაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, უნდა დაინერგოს დივერსიფიცირებული მიდგომის სისტემა. ეს ძლიერ და განვითარებაზე ორიენტირებულ სკოლებს მეტ დამოუკიდებლობას მისცემს, ხოლო შედარებით სუსტ სკოლებს მხარდაჭერისა და კონსულტაციის მეტი რესურსით უზრუნველყოფს. ამ პროცესის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია, სკოლების დაფინანსებაში გაიზარდოს ინსტიტუციური განვითარებისათვის გამოყოფილი რესურსები და თანმიმდევრულად გაძლიერდეს მუნიციპალიტეტების ორგანოების როლი და კომპეტენციები. სკოლა უნდა გახდეს შემოქმედებითი და ავტონომიური; სკოლა უნდა გახდეს თანამედროვე განათლებისა და აღზრდის კერა, კერძოდ:

- ზოგადი განათლების სფეროში მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბდება კოლეგიალური მმართველი ორგანო, რომელიც დაკომპლექტდება ამ სფეროში მომუშავე როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებით, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო სახელისუფლებო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ასეთი ორგანოს ჩამოყალიბება გააუმჯობესებს სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის ხარისხს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიონალების ქმედით მონაწილეობას;
- მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ზოგადი გა-

ნათლების ეროვნული მიზნები, რათა ის სხვა პრიორიტეტებთან ერთად მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული სეკულარული დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაზე, ითვალისწინებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ქვეყნის განვითარების როგორც ინტელექტუალურ, ასევე ეკონომიკურ პერსპექტივას.;

- პროფესიული საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ამოქმედდება ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებთან ეროვნული სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და სწავლასწავლების პროცესთან დაკავშირებული სხვა კომპონენტების შესაბამისობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.
- უნდა მოხდეს სკოლების დეცენტრალიზაცია და გაიზარდოს მათი ავტონომია, რაც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის ყველა ძირითადი უფლებამოსილების დელეგირებას. სამეურვეო საბჭოს გაზრდილი ფუნქციები კიდევ ერთი ბერკეტი იქნება სკოლების საქმიანობაში პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების ჩარევის თავიდან ასაცილებლად;
- შეიქმნება სკოლების მრავალკომპონენტიანი შეფასების სიტემა, რომელიც გამოავლენს ძლიერ და სუსტს კოლებს. სუსტი სკოლებისთვის შეიქმნება მხარდაჭერის პროგრამა; სასკოლო აუდიტის ჯგუფები დაენმარებიან ასეთ სკოლებს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმისწარმოების გაუმჯობესებაში;
- საგანმანათლებლო ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია სკოლებში ფიზიკური აღზრდის სრულყოფა და სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება-გაუმჯობესება, რაც უმნიშვნელოვანესია როგორც სასწავლო დისციპლინისთვის (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებისათვის), აგრეთვე სკოლის შემდგომი სექციური მუშაობისთვის. სკოლის ბიუჯეტებში საბაზისო მინიმუმის განსაზღვრის გზით ხელი შეეწყობა სასპორტო კლუბების შექმნა-განვითარებას.

### **უნდა შემუშავდეს ზოგადი განათლების სფეროში ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიანი სტრატეგია:**

- სისტემაში ჩართული თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დაეფუძნოს მათი მუშაობის ანალიზს;
- ყველა დონეზე თანამშრომლების სამსახურში მიღება უნდა განხორციელდეს ღია და სამართლიანი კონკურსის წესით, ხოლო შერჩევის პროცესში მაქსიმალურად უნდა იქნას მოზიდული პროფესიული ორგანიზაციები;
- უნდა გაუქმდეს სკოლის დირექტორების დანიშვნა ექვსწლიანი ვადით და ჩამოყალიბდეს პედაგოგების კარიერული ზრდის მექანიზმები;
- ორგანიზებული დიალოგის წარმართვის კუთხით მნიშვნელოვანი იქნება მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა პროფესიული გაერთიანებების წახალისება. მნიშვნელოვანი ზრუნვის საგანი გახდება პედაგოგიკისა და განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტიმულირება;
- მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელთა გადამზადების პროგრამები განხორციელდეს დამოუკიდებელი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ და გაიზარდოს ამ კუთხით არამართო არასამთავრობო ორგანიზაციების, არამედ უმაღლესი სასწავლებლების როლი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა უნდა შეიძინოს მასწავლებელთა გადამზადების საერთო პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქცია;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემამ ყველა პედაგოგისთვის უნდა უზრუნველჰყოს სასტარტო და შემდგომი განვითარების თანაბარი პირობები. რაც გულისხმობს დამწყები და მოქმედი პედაგოგებისთვის განვითარების განსხვავებული და რეალურ შედეგზე ორიენტირებული ისეთი პროგრამების შეთავაზებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სკოლის ინტერესები. სკოლას უნდა ჰქონდეს პროფესიული განვითარებისა და შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც შესაძლოა

ყველა სკოლისთვის განსხვავებული იყოს, სკოლის საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით.;

- სახელმწიფო პოლიტიკა, მასწავლებლის მომზადების, პროფესიაში მისი შესვლისა და პროფესიული განვითარების გარდა უნდა მოიცავდეს პროფესიიდან გასვლის კომპონენტსაც, რათა მიდგომა იყოს სისტემური და კომპლექსური. უნდა მოხდეს საპენსიო ასაკის მასწავლებელთა პროფესიიდან გასვლის ისეთი წესების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მასწავლებლების ღირსეულ გასვლას პროფესიიდან;
- უნდა შემუშავდეს მასწავლებლის სამუშაოს ანაზღაურების ადეკვატური და სამართლიანი გაანგარიშების სისტემა, რომელიც საგაკვეთილო დატვირთვის გარდა მასწავლებლის სხვა პროფესიულ აქტივობებსაც ასახავს. ეს მასწავლებლის მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს;
- ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გეოგრაფიული, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, გენდერული და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვრება ახალი სკოლების მშენებლობის, ასევე არსებული შენობების რეაბილიტაციის გეგმა;
- სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონების მცირეკონტინგენტიანი სკოლები გახდება, რადგან განსაკუთრებით რთულია ასეთ სკოლებში ხარისხიანი განათლების და მოსწავლეების სოციალიზაციის უზრუნველყოფა; თანაც ამ რეგიონებში მოსახლეობის ადგილებზე დამაგრების თვალსაზრისით გამსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს სწორედ სკოლა ასრულებს;
- გაუმჯობესდება ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მათი საგანმანათლებლო მხარდაჭერის პროგრამა;
- ვიზრუნებთ, რომ ყველა საჯარო სკოლაში შეიქმნას თანამედროვე და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, რათა გაადვილდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; მოწესრიგდეს ლაბორატორიები, კომპიუტერული

ოთახები და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასევე განხორციელდება საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური მოდერნიზების პროგრამა;

- მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სკოლების მომარაგებაზე იმ დამხმარე აღჭურვილობით, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვანი ჩართვისათვისაა აუცილებელი. დაინერგება შშმ მოსწავლეთა ადაპტირებული ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა. დაინერგება და გაძლიერდება მასწავლებლის ასისტენტის ინსტიტუტი;
- მნიშვნელოვანია, გადაიხედოს სკოლებში დისციპლინის მართვის მოდელი, როგორც მოსწავლეთა აღზრდის და სამოქალაქო აქტივიზმის ფორმირების მექანიზმი. ამ მხრივ უნდა გაიზარდოს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლის როლი;
- ძირეულად უნდა გადაიხედოს სკოლებში ბიბლიოთეკების როლი და უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს მათი უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკით და ინტერნეტ სივრცეში ინტეგრირება; უნდა დავაჩქაროთ შესაბამისი კადრების გადამზადება და ფიზიკური გარემოს მოწესრიგება. სასკოლო ბიბლიოთეკებმა განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს რეგიონებში, სოფლებში, ადგილობრივი თემის განვითარების პროცესებში;
- მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული დამატებითი სასწავლო მასალების შექმნასა და ხელმისაწვდომობას, თანამედროვე სასწავლო რესურსების შექმნას. განხორციელდება ქმედებები ამ მიმართულებით ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისათვის;
- დაფინანსდება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომებისაკენ მიმართული ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები და განისაზღვრება ამ პროცესში ადგილობრივი თემის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მშობლების, კურსდამთავრებულების და საზოგადოების სხვა ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის ეფექტური მექანიზმები.;



- მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება პროექტულ სწავლებაზე. სკოლებისათვის გამოყოფილი იქნება ფინანსები სამოქალაქო აქტივობებისაკენ მიმართული პროექტების განსახორციელებლად. ასევე სიღრმისეულად გადაიხედება და გაუმჯობესდება სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა. საჭიროებების კვლევის საფუძველზე დაფუძნდება სკოლის გარეშე საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო დაწესებულებები;
- ვიზრუნებთ, რომ ზოგად განათლებაზე განუვლმა ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც მინიმუმ, 4%-ს მიაღწიოს, რაც გააჩენს განათლების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული რეფორმების გატარების რეალურ შესაძლებლობას. მაგრამ, ამავე დროულად, აუცილებელია გადაიხედოს დაფინანსების ფორმულა, რათა უკვე არსებულ ფარგლებში განხორციელდეს რესურსების ოპტიმალური, სამართლიანი და შედეგზე ორიენტირებული განაწილება.

### **მეტი დამოუკიდებლობა, ინოვაცია და განათლების უკეთესი ხარისხი უმაღლეს სასწავლებლებს**

უმაღლესი განათლების სფეროში გატარებული რეფორმები არის ყველაზე სწორი და ნაყოფიერი გზა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. ამ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებები უნდა გამომდინარეობდეს მთლიანად განათლების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევებიდან:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების არსებული სისტემა გულისხმობს სტუდენტზე მიბმულ ვაუჩერულ დაფინანსებას. ამიტომ უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტების მოზიდვაზე და არა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. საბოლოოდ კი შედეგად ვიღებთ მდგომარეობას, როცა სასწავლო პროგრამები ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია, განხორციელდეს უმაღლესი განათლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომლის შედეგად ჩამოყალიბდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალკომპონენტური დაფინანსების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგი 10 წლის განმავლობაში მათ სტაბილურ და პროგნოზირებად განვითარებას. ამასთან, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება სწავლის დაფინანსების სხვადასხვა ფორმები:

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია, რომ შეიქმნას უმაღლესი განათლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანს იქნება უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების სისტემის ოპტიმიზაცია, რომელიც განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული და წარმატების მქონე დარგების (Excellence Cluster) გათვალისწინებით;

- აუცილებელია, რომ შეიქმნას უმაღლესი განათლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანს იქნება უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების სისტემის ოპტიმიზაცია, რომელიც განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული და წარმატების მქონე დარგების (Excellence Cluster) გათვალისწინებით;
- აუცილებელია, შემუშავდეს და შემდგომ ეტაპობრივად დაინერგოს საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების ინდექსირების (შეფასების) სისტემა. შეფასებისას ყურადღება მიექცევა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სტრატეგიასთან საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების სინქრონიზაციის საკითხს. საუკეთესო შედეგის მქონე უმაღლესი განათლების მხარდაჭერილი იქნება სახელმწიფო პროგრამით, რომელიც გულისხმობს წარმატებული საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებისათვის დამატებით ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს სახელმწიფო შესაბამისი სასწავლო პროგრამების განხორციელებასაც შესთავაზებს. ამ პროგრამების დაინერგვისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით გამოცხადდება საგრანტო კონკურსი, და გამარჯვებული უნივერსიტეტი მიიღებს 4 წლიან საბაზო დაფინანსებას;
- უმაღლესი განათლების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები მიიღებს საგრანტო კონკურსის შეთავაზებას, რათა უმაღლესი განათლების ყველასა ფეხურზე საერთაშორისო თანამშრომლობით შემუშავდეს და დაინერგოს ახალი, თანამედროვე სასწავლო პროგრამები. სისტემატურად განხორციელდება საქართველოსა და უცხოეთის აკადემიური პერსონალის გაც-

- ვლითი სასწავლო პროგრამები;
- მნიშვნელოვანია, რომ მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდეთ განვითარებისათვის საჭირო სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომა. აღნიშნული დაფინანსება უნდა განხორციელდეს მიზნობრივი, დაბალ პროცენტის, გრძელვადიანი კრედიტის საშუალებით. ამ ფონდების ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეძლებს, განახორციელოს ნებისმიერი სათანადო და აუცილებელი საქმიანობა: ინფრასტრუქტურული მშენებლობა, საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა, პერსონალის გადამზადება და სხვა;
- აუცილებელია, შეიქმნას რეგიონული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებში ფინანსები მიმართული იქნება რეგიონული დონის საკითხების შესწავლასა და გადაჭრაზე, რეგიონული მოთხოვნების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და განვითარებაზე.

### **თანამედროვე და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება სტუდენტებს**

სტუდენტების მიერ ხარისხიანი უმაღლესი განათლების მისაღებად სახელმწიფო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი, კონკურენტული გარემოს განვითარებასა და მატერიალურ ხელშეწყობას.

- სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება სწავლის დაფინანსების სხვადასხვა ფორმები. სამართლიან და ნათელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით უნდა დაინერგოს როგორც სახელმწიფო სტიპენდიების, ასევე გრძელვადიანი და შეღავათიანი სესხების გაცემის სისტემები;
- სახელმწიფომ უნდა წაახალისოს უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტური სესხებისა და სტიპენდიების შიდა მექანიზმის დანერგვისაკენ;
- სტუდენტების სასწავლო ვაუჩერის ოდენობა უნდა ითვალისწინებდეს როგორც სწავლების საფასურს, ასევე სწავლების სფეროს სპეციფიკას. ამასთან, გაფართოვდება

სოციალური გრანტების დაფინანსების ბაზა, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში სტუდენტის საცხოვრებლის ხარჯებსაც დაფარავს;

- სტუდენტების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდება პროგრამა, რომლის საშუალებით სახელმწიფო თავდებში ჩაუდგება ნიჭიერსა და წარმატებულ სტუდენტებს სესხის მისაღებად;
- სახელმწიფომ სასწავლო გრანტები უნდა გამოეყო სადოქტორო საფეხურის სწავლების დასაფინანსებლად. გრანტის თანხაში, სასწავლო და მენტორის კომპონენტის გარდა, უნდა შედიოდეს, უნივერსიტეტის მონაწილეობით კვლევისათვის აუცილებელი ფინანსების ნაწილი.

### **განათლება სამოქალაქო ინტეგრაციისა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის**

განათლების სისტემაში უნდა მოხდეს სამოქალაქო ინტეგრაციისა და დემოკრატიული კულტურის განვითარების საკითხების აქტუალიზაცია, რაც გულისხმობს სასკოლო სამოქალაქო განათლების შემდგომ განვითარებას; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას; სახელმწიფო ენის სწავლების პროცესის გაძლიერებას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ, ასევე ოკუპირებულ რეგიონებში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ქართულ დიასპორებში.

### **ზრდასრულთა განათლება დასაქმებისათვის**

თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, რასაც ემატება საბჭოთა ცენტრალ-ბიზნეს-დირექტიული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული ობიექტური პრობლემები, მოსახელობის უფროსი თაობების წარმომადგენლებისათვის უნდა განვითარდეს ზრდასრულთა განათლების სისტემა. უნდა მოხდეს ამ სისტემის პოპულარიზება და ეფექტიანი ამოქმედება, რაც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა უფროსი თაობის ადამიანების მიერ შრომის ბაზარზე ადგილის შენარჩუნებისა და მათი შემდგომი წინსვლისა.

სათვის, ხოლო ქვეყნის დონეზე ეკონომიკური ზრდის ტემპის გასაზრდელად.

ამდენად, განათლების სფეროში თავისუფალი დემოკრატებისათვის ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება უმიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ამ გზაზე შემდეგ გამოწვევებს ვხედავთ:

- მნიშვნელოვანი იქნება შრომის ბაზარზე ორიენტირებული ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების სისტემის განვითარება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონებში მოქმედმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განავითარონ ადგილობრივ მოთხოვნებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები. ხოლო რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორც აკადემიურ, აგრეთვე ზრდასრულთა გადამზადების პროგრამების დაწესებულების რეგიონული ჰაბები;
- თანამედროვე საზოგადოებაში უფრო და უფრო პოპულარული ხდება არაფორმალური განათლება. ამ „ინსტიტუტის“ განვითარების გზაზე მნიშვნელოვანია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების შექმნა და ამოქმედება;
- მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გადამზადების ისეთი კურსების აკრედიტაციას და განხორციელების ხელშეწყობას, რომლებიც განისაზღვრება ეკონომიკური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- საჯარო სექტორში ძირეულად გადაიხედება თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების განხორციელების არსებული პრაქტიკა. დღეისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია წლის განმავლობაში სახელფასო ფონდის 1% თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯოს და აღნიშნულ თანხებს სახელმწიფო სტრუქტურები, ან მათდამი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის ან არასამწარმოო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციები განკარგავენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში გასაქანი დამოუკიდებელ სერვის მიმწოდებელ

ორგანიზაციებს მიეცეთ. სხვადასხვა კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობის საშუალება აკადემიურ დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს მიეცემა, რაც თავის მხრივ მომავალი კადრების მომზადების სისტემაზეც პოზიტიურად აისახება. თავისუფალი ბაზრის პრინციპით ესოდენ დიდი თანხების განკარგვა უდავოდ გაზრდის კონკურენციას და გააუმჯობესებს მიწოდებული სერვისების ხარისხს. ასევე გადაიხედება მასწავლებელთა და ზოგადად განათლების სფეროში დაგეგმილი გადამზადების პროგრამების განხორციელების მექანიზმი, რომელიც ახლა მთლიანად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს აქვს დაკისრებული.

### პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების მნიშვნელობისა და ქვეყნის განვითარებაში დიდი შესაძლებლობების მიუხედავად, სამუხაროდ, განათლების ეს სექტორიც მწვავე გამოწვევების წინაშე დგას:

- მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს თანამშრომლობის ხარისხი სახელმწიფოსა და სოციალურ პარტნიორებს, სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რაც გულისხმობს გადამწყვეტილების მიღების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას. რამაც უნდა განაპირობოს დამსაქმებლების მხრიდან პროფესიული განათლების მიმართ ნდობის ამაღლება და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმების მაჩვენებლის ზრდა. საგანმანათლებლო პროგრამები მაქსიმალურ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროფესიული განათლების სფეროში ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით უნდა გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის როლი და მონაწილეობის ხარისხი. უნდა გაიზარდოს პროფესიული სასწავლებლების დაფარვის გეოგრაფიული არეალი, რასაც წინ შესაბამისი რუკაზე გადატანის პროცესი უნდა უძღოდეს. ამავდროულად უნდა დაარსდეს სკოლა-საწარმოები, სადაც სასწავლო პრო-

ცესის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება;

- პროფესიული განათლების მართვის პროცესში უნდა გაიზარდოს სტუდენტების როლი. მათ უნდა მოეხსნას აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ბარიერი, „საგანმანათლებლო ჩიხები“ და უნდა გაეზარდოს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები;
- სიღრმისეულად უნდა გადაიხედოს პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელი, რომელიც უნდა გახდეს შედეგზე ორიენტირებული და ინკლუზიური, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სწავლების დაფინანსებას როგორც საჯარო/სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ, ასევე კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პარალელურად, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობა. დაფინანსების მექანიზმი გაითვალისწინებს საბაზრო და საშუალო განათლების კურსდამთავრებულთა, ასევე ზრდასრულ პირთა საჭიროებებსაც, რათა თითოეული აღნიშნული სამიზნე ჯგუფისთვის პროფესიული განათლებისთვის ხელმისაწვდომობის შექმნამ/გაზრდამ არ გამოიწვიოს სხვა ჯგუფების დისკრიმინაცია;
- დაფინანსების განაწილების პროცესში განმსაზღვრელი იქნება შრომის ბაზრისა და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნები, სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები. გათვალისწინებული იქნება სტიპენდიები პროფესიულ განათლებაში არათანაბარი შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის (მაგ. მაღალმთიანი რეგიონებიდან) თანასწორი შესაძლებლობების შექმნის მიზნით;
- გაძლიერდება ისეთი დისციპლინების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ჩართულობას. ასეთი დარგებია ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია, სპეციალური პედაგოგიკა, მასწავლებლის ასისტენტის მომზადება და სხვა;
- შემუშავდება და ამოქმედდება არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლებიც ზრდასრულებს კვალიფიკაციის სწრაფი დაუფლებისა და შრომის ბაზარზე გაზრდილი კომპეტენციებით გასვლის საშუალებას მისცემს;

ლური განათლების აღიარების მექანიზმები, რომლებიც ზრდასრულებს კვალიფიკაციის სწრაფი დაუფლებისა და შრომის ბაზარზე გაზრდილი კომპეტენციებით გასვლის საშუალებას მისცემს;

- სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით ამოქმედდება საწარმოო სწავლების/შეგირდობის ინსტიტუტის ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის, მართვის, დაფინანსების, ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით მიღებული კომპეტენციების დაგროვებისა და ტრანსფერის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- განხორციელდება პროფესიული განათლების პედაგოგების გადამზადების პროგრამები, რომელთა პრიორიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გაცნობა იქნება;
- უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვალიფიკაციების მინიჭება, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ დასაქმება არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე.

## მეცნიერება ქვეყნის განვითარებისათვის

ჩამოყალიბდება საქართველოს მეცნიერების მართვის ახალი სისტემა, რომელიც მიზნად დაისახავს არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურად შენარჩუნებას, ინოვაციური და კლასიკური მეცნიერების სფეროების ჰარმონიულ განვითარებასა და მეცნიერების სფეროს მართვის თანამედროვე, ევროპული ტიპის სისტემის დანერგვას. თანამედროვე სამყაროში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა საზოგადოებისა და ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია, ხოლო ქვეყნის მოდერნიზაციის ერთ-ერთი წარმართველ ძალას მეცნიერება წარმოადგენს. სამეცნიერო კვლევების ეფექტიანი მართვისა და სახელმწიფოს მხრიდან გააზრებული ფინანსური წახალისების შემთხვევაში, სამეცნიერო ორგანიზაციებს შეეძლება განვითარების იმგვარი დონის მიღწევა, როდესაც, მატერიალურ ან არამატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით, ისინი შეძლებენ

ფინანსური და მატერიალური თვითკმარობის უზრუნველყოფას. მეცნიერებასა და უმაღლესი განათლების სფეროში სანდო და მრავალმხრივი მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდება ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა, შემუშავდება ქმედითი და კვლევითი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა/განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამა. მის ფარგლებში კი - შედეგზე ორიენტირებული, მოქნილი და მრავალკომპონენტიანი სისტემის მეშვეობით - დაფინანსდება მეცნიერება.

• აუცილებელია კვლევებზე და სანდო სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მეცნიერებაში პერსპექტიული მიმართულებების გამოვლენისა და არსებული სამეცნიერო პოტენციალის შეფასების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

- აუცილებელია საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში ინვესტიციების და ლიდერი კომპანიების მოზიდვის მიზნით თავისუფალი ეკონომიკური ზონებისა და ტექნოპარკების შემდგომი შექმნა/განვითარება;
- აუცილებელია მეცნიერებაში გამოვლენილი პერსპექტიული და ძლიერი მატერიალური და აკადემიური ბაზის მქონე მიმართულებებზე ისეთი რეგიონული კვლევითი ცენტრების შექმნა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სხვა ქვეყნების მონიავე მკვლევარები, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და კვლევითი ორგანიზაციები;
- კვლევით ორგანიზაციებს სახელმწიფო შესთავაზებს საბაზისო დაფინანსებას, რომელიც მიზნული იქნება მათ გრძელვადიან სტრატეგიებზე და კვლევით გეგმებზე. გარკვეული, წინასწარ დათქმული, პერიოდის გასვლის შემდეგ ჩატარდება კვლევითი ორგანიზაციის გარე შეფასება და მისი შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდება, მოხდება თუ არა კვლევითი ორგანიზაციის დაფინანსების გაგრძელება. რეფორმის

საწყის ეტაპზე დაფინანსებას მიიღებს ყველა კვლევითი ინსტიტუტი;

- განხორციელდება კვლევების პროგრამული (პრიორიტეტული) დაფინანსება. ამ ტიპის დაფინანსება მიმართულია სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულ სფეროებში განსახორციელებელ კვლევებზე (ნაწილი თანხებისა პირდაპირ გამოიყოფა, ნაწილიც - კონკურსის წესით);
- საგრანტო კონკურსის საშუალებით მოხდება მკვლევრის ან კვლევითი ჯგუფის დაფინანსება გრანტით (Excellence grant), რომელიც მიზნად ისახავს ზოგად ან რომელიმე სფეროს ფარგლებში კვლევების წახალისებას;
- სახელმწიფო წახალისებს და თავადაც პრაქტიკულად დაეხმარება კვლევით ორგანიზაციებს, რათა მათ უცხოეთის ქვეყნების მთავრობებიდან და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან (მსოფლიო ბანკი, ევროპის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და სხვა) მოიზიდონ მიზნობრივი კრედიტები ინოვაციური პროექტების დაფინანსებისა და სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით;
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებით და ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყოფილი იქნება: მეცნიერებაში ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე კვლევით და სამეცნიერო პროექტებში ქართული კომერციული სტრუქტურების მონაწილეობის ხელშეწყობა; უცხოური კერძო და სახელმწიფო კვლევითი დაწესებულებების, საინვესტიციო და ვენჩურული ფონდების საქართველოში ოპერირების წახალისება.  
უნყვეტი განათლების პრინციპები რეალურად განხორციელდება ქართული განათლების სისტემაში, გაუმჯობესდება საგანმანათლებლო შესაძლებლობები და, გრძელვადიან პერსპექტივაში, მოსახლეობის განათლების დონე.

მიუხედავად სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსების ზრდისა ბოლო 3 წლის განმავლობაში და რიგი პოზიტიური ნაბიჯებისა, ვერ მოხერხდა პრობლემების ფუნდამენტალური მოგვარება სოფლის მეურნეობის სექტორში. ეს განპირობებულია იმით, რომ სოლიდური თანხები, 1 მლრდ ლარზე მეტი, დაიხარჯა მოკლევადიანი ეფექტის მისაღწევად და არ იყო ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული. კვლავ მწვავედ დგას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის, ქვეყანაში აგრო-სამრეწველო სექტორში ფინანსებზე წვდომადობის საკითხი, რაც ადეკვატურად აისახება აგრო წარმოების წელი ტემპით განვითარებაზე და, შესაბამად, აგრარული სექტორის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ 2012 წლის სარჩევნო დანაპირები შეასრულოს და განახორციელოს მიწის რეფორმა, რომელიც დღემდე საქართველოში პრაქტიკულად არ ჩატარებულა, დღეს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, სახელმწიფოს მხრიდან არაერთხელ ჩაგდებული მიწის რეფორმის გამო, არ ფლობს საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ, ასევე სხვა ტიპის მიწებზე. ცალსახად ვაცხადებთ, რომ საქართველოში დაურეგისტრირებული მიწა, არ ნიშნავს უპატრონო მიწას.

“თავისუფალი დემოკრატიების” მიზანმიმართული პოლიტიკური აქტიურობის შედეგად მთავრობამ შეაჩერა პარლამენტში წარდგენილი „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც რეალურად მიზნად ისახავდა ხელისუფლების მიერ დაურეგისტრირებული მიწის ჩამორთვევას მთელი საქართველოს მასშტაბით. შედეგად საქართველოს 400 ათასზე მეტ მოქალაქეს ხელისუფლება აღარ ჩამოართმევს მიწას და მათ კანონმდებლობით მიეცათ მიწის რეგისტრაციის საშუალება.

კვლავ წელა ვითარდება აგროსასურსათო პროდუქციის შემნახველ-გადამამუშავებელი წარმოება, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობები. მძიმე ვითარებაა სოფლის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. ამ სექტორში არ იქმნება სტაბილური და შემოსავლიანი სამუშაო

ადგილები. დეგრადაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინფრასტრუქტურის მოშლითა და მომსახურების ხელმიუწვდომლობით. პრობლემაა ტექნოლოგიური ჩამორჩენა; ვერ ვითარდება ამ სექტორზე ორიენტირებული მეცნიერება და განათლება, საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება.

მიუხედავად “ქართული ოცნების” დაპირებებისა, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ამ წლების განმავლობაში სოფლის ეკონომიკური გაძლიერება, გლეხის (ფერმერის) შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება. აგრარული სექტორის მოდერნიზება და ინტენსიური განვითარება კვლავ დაბალ დონეზეა. შესაბამისად, ვერ აღმოიფხვრა სოფლად სიღარიბე და ვერ განხორციელდა რეგიონალური ეკონომიკის წინსვლა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა არა დეკლარირება, არამედ შეიქმნას ისეთი აგრარული და რეგიონალური პოლიტიკის სტრატეგია, რომლის განხორციელების შედეგად:

- დარეგულირდება მიწათსარგებლობის საკითხები; შეიქმნება მიწაზე საკუთრების დაცულობის მკაფიო გარანტიები; მოწესრიგდება სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტები; ჩატარდება მიწების პასპორტიზაცია; ხელი შეეწყობა არსებული ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას, როგორც ექსტენსიური (ფართობების სრული მოცვა), ისე ინტენსიური (პროდუქციისა და მოსავლიანობის ზრდა) ფაქტორების გათვალისწინებით. შემუშავდება მიწათსარგებლობის სისტემის მარეგულირებელი ნორმები; ჩამოყალიბდება საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების ქსელი; იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს მიწების ფრაგმენტაციით გამოწვეული არაეფექტიანობა, შეიქმნება სავარგულების გამსხვილების სხვადასხვა ეკონომიკური სტიმული;
- დავასრულებთ სოფლის ინფრასტრუქტურის მოწყობას: გაზიფიცირებას, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას, გზების დაგებას. გავხდით სოფელს მიმზიდვე-

- ლად და პრესტიჟულად საცხოვრებლად;
- უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის დამატებითი სტიმულების შექმნა და ეფექტიანად განხორციელდება სახელმწიფო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისათვის;
- გაგრძელდება აგროსესხის პროგრამა, რომელიც დადებით, მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო სანარმოების შექმნასა და განვითარებაზე;
- დაჩქარდება და ინტენსიურად განვითარდება საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების განახლება და მშენებლობა;
- სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით. გლეხი (ფერმერი) შეძლებს სარწყავი და სადრენაჟო სისტემებით, ტექნიკით, ვეტერინარული მომსახურებით, აგრეთვე მოსავლის აღების შემდეგ საჭირო ტექნოლოგიებით (გადამუშავება, შენახვა, დაფასობა) სარგებლობას, ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და პირუტყვის საკვების გამოყენებას. მომსახურების განვითარება და მასალა-საშუალებების მიწოდების დროს გათვალისწინებული იქნება როგორც კომერციალიზაციის, ისე ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვა სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცალკეული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრები;
- შეიქმნება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ბიოაგრონარმოების განვითარებას. მხარს დაუჭერს პროგრამის მონაწილე გლეხური მეურნეობების მიწების ბიომეურნეობებად რეგისტრაციასა და ბიომეურნეობათა ასოციაციების შექმნას. განვახორციელებთ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ სანარმოებში ბიოსტანდარტის დასამკვიდრებლად;
- მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფინანსებით. აგროსასურსათო სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული

- პოლიტიკა შეამცირებს სექტორის რისკიანობას და უფრო მიზმიდველს გახდის მას საკრედიტო ინსტიტუტებისათვის. სახელმწიფოს უშუალო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები იქნება მიზნობრივი; უზრუნველყოფილი იქნება მოქნილი და ხელმისაწვდომი სადაზღვევო სისტემა, სახელმწიფოს აქტიური თანამონაწილეობით;
- გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა უშუალოდ უნდა აისახოს სურსათის წარმოების ზრდაზე. ქართულმა აგროსასურსათო სანარმოებმა, მათ შორის, გადამამუშავებელმა მრეწველობამ უნდა შექმნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის (როგორც რაოდენობრივი, ისე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით) საფუძველი;
- გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები. აგრარული სექტორის განვითარება უშუალოდ აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. გაიზრდება კომერციალიზაციის დონე და ბრუნვა;
- ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა. შეიქმნება გლეხების (ფერმერების) საკონსულტაციო-საინფორმაციო და ექსტენციის სისტემები. გლეხების (ფერმერების) მხარდაჭერის (მათ შორის, ფინანსური) პროგრამებში პრიორიტეტული იქნება ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და ინოვაციების შემცველი პროექტები; პრიორიტეტული იქნება აგრონომის, ვეტერინარის და სხვა მოთხოვნადი სოფლის მეურნეობის დარგის პროფესიის სწავლების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ;
- ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე. აგრარული სექტორის განვითარების შედეგად გაიზრდება სამამულო წარმოების წილი შიდა მოხმარებაში და, შესაბამისად, ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. იმპორტის შემცირების საფუძველი გახდება აგროსასურსათო პროდუქციის

კონკრეტული სახეობების საბაზრო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა;

- ჩამოყალიბდება სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემა;
- მოხდება რეგიონებში ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება. კონკურენტუნარიანი პირველადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაზრდის საფუძველი გახდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების გაფართოება და განვითარება. ხელი შეეწყობა ისეთი ინფრასტრუქტურული კომპონენტების განვითარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება აგრარული პროდუქციის წარმოების შემდეგ ეტაპებზე, და რომლებიც წარმოადგენს დასაქმებისა და მთლიანად რეგიონალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. პრიორიტეტული იქნება როგორც შიდა, ისე უცხოეთის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სასურსათო და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება. ყოველივე ეს განაპირობებს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის, აგრეთვე დანაზოგებისა

და საინვესტიციო რესურსების ზრდას;

- გაუმჯობესდება რეგიონებში ცხოვრების პირობები. სოფლის მეურნეობისა და რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ჩვენი პოლიტიკის წარმატების მაჩვენებელი იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის აღმოფხვრა, ადამიანების საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება, ადგილებზე ღირსეული ცხოვრებისა და საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რამაც მიმზიდველი უნდა გახადოს სოფლად ცხოვრება და განაპირობოს უცხოეთსა და დედაქალაქში ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზებით მიგრირებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ტენდენცია. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად, უახლოეს წლებში, აგროსასურსათო სექტორში შეიქმნება რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი დაქირავებით დასაქმებულთათვის; გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, შემცირდება ფარული უმუშევრობა სოფლად. საქართველო მოამარაგებს საკუთარ თავს სურსათით.



ენერგეტიკის სექტორში არსებობს დაუბალანსებელი და გაუმჭვირვალე ინსტიტუციური გარემო, არ დამტკიცებულა ენერგეტიკული სექტორის მართვის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის შესაბამისად თანმიმდევრულად მოხდება ენერგეტიკული პოლიტიკის გადანყვეტილების მიღება; სექტორში არ არსებობს ეფექტური კონტროლის მექანიზმები - ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ფრაგმენტულად და არ ემსახურება ერთიან სტრატეგიულ ხედვას; საინვესტიციო გარემოს უხარისხობის გამო ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა ხდება ძირითადად სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო გარანტიებით, რაც სამომავლო ვალდებულებებს წარმოშობს. ხდება გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების უგულებელყოფა ბუნებრივი რესურსების (წყალი, ქვანახშირი) ათვისებისას; მთავრობის შესაბამისი ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული პირისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას და გადანყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას, არ ხდება გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები ალტერნატივების განხილვა და შესაბამის პროექტთან დაკავშირებული რისკების შეფასება, რათა სახელმწიფოს მიერ არ მოხდეს ზედმეტი ვალდებულებების აღება, რაც სამომავლოდ ფინანსურ და ეკონომიკურ პრობლემებს შექმნის. გასათვალისწინებელია, რომ ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განწევრიანებამ და რეფორმის დაწყებამ უნდა დაადასტუროს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის სიმნიფე, ხოლო ენერგეტიკულ გაერთიანებაში განწევრიანების და რეფორმების გადავადება, ინვეს არსებული გარემოს შენარჩუნებას, ზრდის რისკებს და კიდევ უფრო ართულებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

### ენერგეტიკის სექტორში უმთავრესი პრიორიტეტებია:

- ენერგეტიკული სექტორის მართვის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება/დამტკიცება რეგიონალური კონიუნქტურის გათვალისწინებით;
- სისტემური ცვლილებების გატარება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით - სამინისტროს, როგორც ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი ორგანოს, გაძლიერება და მარეგულირებელი ორგანოს (სემეკი), როგორც გრძელვადიანი სტაბილობის გარანტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა გადანყვეტილებების მიღების პროცესში;
- ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განწევრიანების შემდგომ რეფორმების განუხრელი გატარება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული მოთხოვნების შესაბამისად;
- შეიცვალოს ბოლო წლებში დამკვიდრებული ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პრაქტიკა - გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების უგულებელყოფა ბუნებრივი რესურსების (წყალი, ქვანახშირი) ათვისებისას;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალობის სტანდარტის დაცვა - ყველა დაინტერესებული პირისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და გადანყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა; მოხდეს გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები ალტერნატივების განხილვა და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- ენერგოეფექტურობის განვითარება სახელმწიფო სექტორში და მისი ხელშეწყობა

- კერძო სექტორში; ეკონომიკის ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება;
- ადგილობრივი განახლებადი და წიაღისეული რესურსების განვითარების წახალისება/ხელშეწყობის სახელმწიფო მექანიზმების ამუშავება;
  - საერთაშორისო ენერგეტიკული თანამშრომლობის გაძლიერება და სტრატეგიული ენერგეტიკული სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა;
  - ენერგეტიკაზე ეფექტური საპარლამენტო კონტროლის დამკვიდრება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდის და მომხმარებელთა ენერგოეფექტურობის პირობების გასაუმჯობესებლად;
  - საგანგებო მდგომარეობებისთვის რეზერვების და სამოქმედო გეგმების შექმნა, რათა დაცული ვიყოს ტექნიკური თუ პოლიტიკური შეფერხების შემთხვევაში.

მოსაზრება, რომ გარემოს დაცვა მხოლოდ განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების ფუნქციაა, მცდარია. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკის განხორციელება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების გარანტია, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროში ადეკვატური ფინანსური სახსრების უზრუნველყოფა - მასშტაბური გარემოსდაცვითი რისკების და, შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილებისკენ მიმართული ინვესტიცია გრძელვადიან პერსპექტივაში.

პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, აცნობიერებენ რა, რომ საქართველო წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობის განუყოფელ ნაწილს, გამოთქვამენ სრულ მზობას, რათა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას 2015 წლის სექტემბერში მიღებული „მდგრადი განვითარების მიზნების“ შესრულებისათვის. ასევე, „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური მიზნები სრულად შეესაბამება საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით.

ჩვენ არ ვართ მოკლევადიან და პოპულისტურ ქმედებებზე ორიენტირებული. ჩვენი მიზანია ქვეყნის გრძელვადიანი და სტაბილური განვითარების მყარი და შეუქცევადი საფუძვლის შექმნა ყველა მიმართულებით და, ამ მხრივ, განსაკუთრებულ ადგილს სწორედ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება წარმოადგენს. ამავე დროს, ჩვენ კარგად გვესმის იმ საკითხების აქტუალობა, რომლებიც სწრაფ და ეფექტიან ქმედებებს საჭიროებენ ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან. შესაბამისად, ჩვენი მიდგომაა, ერთი მხრივ, გამართუ-

ლი საკანონმდებლო ბაზისა და გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი სტრატეგიული დაგეგმვის უზრუნველყოფა გარემოს დაცვის სფეროში - ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისა და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების (კონვენციები და ოქმები) შესაბამისად, და, მეორე მხრივ, დროული ღონისძიებების გატარება ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემების გადასატრელად, რომლებიც რისკს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ასევე, ეკოსისტემების მდგრადობას.

გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დანერგვის პარალელურად, ჩვენი მიზანია:

- ხელი შევუწყოთ კერძო სექტორის ჩართულობას გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელების პროცესში. გამართული საკანონმდებლო ბაზა, ხელოვნური ბარიერების მოხსნა და სტაბილური გარემოს შექმნა, ერთი მხრივ, გაუადვილებს კერძო სექტორს საქმიანობას და გაზრდის მათ ეფექტიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მათი სოციალური პასუხისმგებლობის ზრდას და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ისეთი ფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართული იქნება პრევენციისკენ და არა სადამსჯელო ღონისძიებების გატარებისკენ.;
- გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, აღვადგინოთ კავშირები სამეცნიერო სექტორთან და ხელი შევუწყოთ ისეთი სამეცნიერო კვლევების განვითარებას, რომლებიც შექმნიან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „თავისუფალი დემოკრატები“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გეგმავენ შემდეგ ღონისძიებებს:

## საკანონმდებლო ბაზა

- საკანონმდებლო ბაზის შემუშავება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისი იქნება;
- გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ტექნიკური რეგულაციების გამართვა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რაც, ერთი მხრივ, უფრო ეფექტიანს გახდის კერძო სექტორის რეგულაციებთან შესაბამისობას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პრინციპების დანერგვას (მაგ., აუქციონი, მიწის მესაკუთრის ინტერესების დაცვა, სპეცტრის რეგულაციების დახვეწა და სხვ.).

## დარგობრივი მიმართულებები

- მუნიციპალური, ასევე, სახიფათო ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შექმნა, ნარჩენების შეგროვებისა და უსაფრთხოდ განთავსების ჩათვლით;
- ნარჩენების შეგროვების ერთიანი სისტემის/ინფრასტრუქტურის შექმნა მთელი საქართველოს მასშტაბით;
- დაბინძურებული ისტორიული ტერიტორიების (როგორცაა, მაგალითად, დარიშხან-შემცველი ნარჩენები ცანაში) უსაფრთხოდ განთავსება და გაუვნებელყოფა;
- ისეთი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს დიდ ქალაქებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას და ქვეყანაში მანქანების პარკის ეტაპობრივ განახლებას. შესაბამისად, საქართველოს დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაბინძურების შემცირებას ავტოტრანსპორტის სექტორიდან, რომლის წილი ჰაერის დაბინძურებაში ქვეყნის მასშტაბით 70%-ს, ხოლო თბილისში 95%-ს შეადგენს;

- მდინარეთა მართვის სააუზო პრინციპების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა წყალმომხმარებელთა ინტერესების დაბალანსებას და წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ჩამდინარე მუნიციპალური წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/ხელშეწყობა;
- ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის განსაზღვრა გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით და სახელწიფოს წილის ზრდა მისაღები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში;
- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებული მემორანდუმების გადახედვა და მათი საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ენერგოდამზოგი და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი ფისკალური ნახალისების შემოღების გზით (მაგ., საგადასახადო შეღავათები, ან შეღავათები იმპორტისას, შეღავათიანი კრედიტები);
- საქართველოს მდიდარი ბიომრავალფეროვნების დაცვა და დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება; ზურმუხტის ქსელის განვითარების ხელშეწყობა ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად;
- ნიადაგის დეგრადაციისა და გაუდაბნობის პროცესების შემცირება ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, როგორებიცაა, მაგალითად, ქარსაფარი ზოლების გაშენება, საძოვრების მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება, მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, ფერმერების ცნობიერების ამაღლება და სხვ.;
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ან/და სამთო მოპოვებითი სამუშაოების წარმოების შედეგად მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის გამოყენების მექანიზმის შემუშავება;
- ტყეების ინვენტარიზაცია და დეგრადირებული ტყეების ეტაპობრივი აღდგენა;
- ტყის რეფორმის ეფექტიანობის ზრდა, განხორციელებული საპილოტე პროექტების ხარვეზების შესწავლისა და დეტალური დაგეგმვის გზით;

- პროფესიული ტექნიკუმის შექმნა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა სატყეო სექტორში შესაბამისი სპეციალისტების (მაგ.: ტყის მცველები, ტაქსატორები) მომზადებისა და გადამზადების მიზნით;
- ბიომასის გამოყენების ხელშეწყობა და შესაბამისი მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება - გათბობის მიზნით ტყეებზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად (მაგ., პალეტების დასამზადებელი საამქროების შექმნის ხელშეწყობა);
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრებითი სამუშაოები;
- შავი ზღვის სანაპიროს ნავთობით დაბინძურებული ადგილების განმენდის მასტიმულირებელი ფინანსური ინსტრუმენტების შემოღება;
- გეოლოგიური სადამკვირვებლო ქსელის გაფართოება ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის მიზნით, თანამედროვე ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვა/გაუმჯობესება;
- კლიმატის ცვლილებებთან ისეთი საადაპტაციო ღონისძიების გატარება, როგორცაა, მაგალითად, გადაუდებელი ნაპირსამაგრი სამუშაო;

### ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

- ბუნებრივი რესურსების რაციონალური და ეკონომიკურად მომგებიანი გამოყენების სქემის შემუშავება და დანერგვა, როგორცაა, მაგალითად, რესურსების მოცდენის თავიდან აცილების რეგულაციების შემუშავება და სხვ.);
- სამთო მინაკუთვნის სავალდებულო რეგისტრაცია, რაც უზრუნველყოფს მინის სრული სამართლებრივი მდგომარეობის საჯაროობას და თავიდან აგვაცილებს უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ დავებს;
- ტექნოგენური საბადოების დამუშავების ხელშეწყობი მექანიზმების შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბუნებ-

რივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და, მეორე მხრივ, გაამარტივებს მომპოვებელი კომპანიების ვალდებულებებს;

- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, გადასახადების და გადასახდელების (მოსაკრებელი, რეგულირების საფასური) მარეგულირებელი ბაზის ოპტიმიზაცია მოსარგებლის ინტერესების გათვალისწინებით;

### ურთიერთგადამკვეთი საკითხები

- გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ყველა შესაბამისი სექტორული განვითარების გეგმებსა და პროგრამებში - ქვეყანაში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტის დანერგვითა და მისი ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობის გზით;
- მწვანე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (მაგ. პალეტების წარმოება ნახევრისა და სხვა ბიომასისგან, ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტების განვითარება და სხვ.);
- გარემოს დაცვის ფონდის შექმნა, რომლის შევსებაც მოხდება გარემოს დაბინძურებასა თუ სხვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევებზე დაკისრებული ჯარიმებით. ფონდში აკუმულირებული თანხები მოხმარდება გარემოსდაცვითი, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის პროექტების განხორციელებას ქვეყნის მასშტაბით;
- გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა როგორც ფორმალური (სასწავლო პროგრამებში შესაბამისი მასალის შეტანა), ასევე არაფორმალური განათლების ღონისძიებების განხორციელების გზით;
- სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ფაკულტეტების დაფინანსება, როგორებიცაა: გეოლოგია, ჰიდროლოგია და სხვ. ამ მნიშვნელოვანი დარგის სპეციალისტების ახალი ნაკადის შექმნისა და ამ მიმართულებებით პროფესიონალების რაოდენობის ზრდის მიზნით;
- საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობი საკანონმდებლო ბაზისა და ინსტრუმენტების შექმნა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

- მშენებლობის სტანდარტების შემუშავება ქალაქებში გამწვანებული ტერიტორიების პროცენტული და ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდის მიზნით;
- საზოგადოებრივად სასარგებლო სავალდებულო შრომის რესურსის მიმართვის მექანიზმის შემუშავება გარემოსდაცვითი მიზნებისთვის (მაგ. დასუფთავების, აღდგენის, ტყის გაშენებისა და სხვა მიმართულებებით);
- საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

## **ინსტიტუციური რეფორმები**

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება/ოპტიმიზაცია ისეთი რეფორმების გატარების გზით, როგორებიცაა, მაგალითად, ზედამხედველობისა და ინსპექტირების განცალკევება, ლიცენზირების გამოყოფა სამინისტროსგან, პროფესიონალი კადრების ზრდა სატყეო და სხვა სექტორებში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არ ყოფილა არც ერთი ხელისუფლების პრიორიტეტი, რამაც ჩვენი საგანძური განადგურების პირას მიიყვანა. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, ამიტომ კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას, მის დაცვას ჩვენს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ვაღიარებთ.

კულტურული მემკვიდრეობა აწმყოში შენარჩუნებული წარსულია, ერის კოლექტიური მეხსიერებაა და პასუხია კითხვაზე - რანი ვიყავთ, რანი ვართ და რანი გვინდა, რომ ვიყოთ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ღირსების საკითხია. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა ერის იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია. მისი დაკნინება საზოგადოებისთვის ფესვების, საყრდენი წერტილის გამოცლის ტოლფასია, რომლის გარეშე არ არსებობს მომავალი.

**დაიცავი - აღადგინე - არ დააზიანო** - ეს არის მიდგომა, რომელიც ლაიტმოტივად უნდა გასდევდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას. კულტურული მემკვიდრეობა წინაპრების გზავნილია; კავშირია წარსულისა მომავალთან. ეს უკანასკნელი კი არ არსებობს პროგრესის გარეშე. განახლება გარდაუვალი პროცესია. ახალი ტექნოლოგიები, თანამედროვე ცხოვრების წესი სრულიად სხვა მოთხოვნებს უყენებს ქვეყანას, ასევე, ქალაქს. მისი უგულვებელყოფა შეუძლებელი და წარმოუდგენელია. მნიშვნელოვანია, მოდერნიზაციის პირობებში დაცული იყოს ბალანსი თანამედროვე მოთხოვნებსა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის.

უნიკალური კულტურის ადეკვატურად გამოყენება ქვეყნისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის ფუნქციის შექმნას გულისხმობს, რადგან კულტურული მემკვიდრეობა არა მართო ერის ისტორიის განუყოფელი ნაწილი და საგანძურია, არამედ ის წარმოადგენს ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს რესურსს, ეკონომიკურ აქტივს.

აუცილებელია, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია, ე. წ. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ქვეყნის მდგრადი განვითარების რესურსად ქცევას, რომელიც იქნება სახელწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი და არაერთი კონკრეტული დარგის განვითარების ინდივიდუალური ხედვა.

სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფოს არ აქვს კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისა და მართვის ხედვა, ამიტომ პოლიტიკა არის ქაოტური, ალოგიკური და ხშირად მორგებულია კონკრეტული ბიზნეს- თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებზე.

აუცილებელია, შეიქმნას არა საარჩევნო პერიოდზე ორიენტირებული მოკლევადიანი სტრატეგია, არამედ გრძელვადიანი გეგმა, რომელიც, პირველ რიგში, შეცვლის მიდგომას და ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას აქცევს ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად რესურსად.

დასახული მიზნის მისაღწევად ვთვლით, რომ აუცილებელია:

### დეპოლიტიზირება

კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატური განვითარებისა და დარგის დეპოლიტიზირებისთვის აუცილებელია:

- მკაფიო, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული კანონმდებლობის, მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ინსტრუქციების შექმნა, მათი ჰარმონიზაცია;
  - ძეგლთა დაცვის სფეროში არსებული კანონისა და მარეგულირებელი ნორმების დაცვა და აღსრულების უზრუნველყოფა;
  - პროფესიონალებით დაკომპლექტებული კვლევითი და მართვითი ინსტიტუციების გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა.
- ვთვლით, რომ მხოლოდ მკაფიო მარეგულირებით, რომ მხოლოდ მკაფიო მარეგულირებით,

ლირებელი დოკუმენტების არსებობის პირობებში და ძლიერი, დამოუკიდებელი, მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით დაკომპლექტებული, ძველთა დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუციების არსებობის შედეგად შეიძლება შეიქმნას კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატურ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც მემკვიდრეობის ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს შორის ბალანსს გულისხმობს.

### **კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული მართვის სისტემა**

კულტურული, განსაკუთრებით, ურბანული, მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია მისი ეკონომიკური და სოციალური ასპექტი.

ადეკვატური მართვის უპირველესი ამოცანაა ღირებული ობიექტების შენარჩუნება და მათი მომგებიანად გამოყენება, რაც, მათი მრავალპლასტრობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული მართვის საშუალებით. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ინტერესების გათვალისწინებას ქვეყნის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

სამწუხაროდ, დღეს კულტურული მემკვიდრეობის მართვა, ძირითადად, ერთი ინსტიტუციის პრეროგატივაა. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში კი, მისი მრავალფეროვანი ასპექტიდან გამომდინარე, ასევე, ჩართული უნდა იყოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, საგარეო საქმეთა, თავდაცვის თუ სახელმწიფოს სხვა ინსტიტუციები.

ვთვლით, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, დადგეს სასურველი შედეგი, როდესაც ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა იქცევა თვითკმარ რესურსად, რომელიც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩადება.

### **კულტურული მემკვიდრეობის დეცენტრალიზაცია**

საქართველოს კანონმდებლობით, ნაშენი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების პრეროგა-

ტივაა. რეგიონულ ხელისუფლებებს არ გააჩნიათ არც ლეგიტიმაცია და არც საჭირო ფინანსური, ადამიანური თუ ინსტიტუციური რესურსი კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისთვის. შესაბამისად, მათი ინტერესი და თანამონაწილეობა დაბალია, რაც დაუშვებელია, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ეს რეგიონის სიმდიდრეა, რომელიც, სწორად მართვის პირობებში, შესაძლებელია, შემოსავლის წყაროდ იქცეს. კულტურული მემკვიდრეობის განვითარება ინტეგრირებული უნდა იყოს რეგიონის განვითარებაში, რაც შეუძლებელია თავად ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობის გარეშე.

აუცილებელია არსებული ცენტრალიზებული მოდელის შეცვლა და პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების გადანაწილება ქვეყნის მართვის ყველა დონეზე: ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე. აუცილებელია, მათ ეტაპობრივად გადაეცეთ რეგიონში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლების ადმინისტრირების ინსტრუმენტები, რაც ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

### **კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების დაფინანსება**

წლების განმავლობაში საქართველოს ურბანული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისთვის არავინ ზრუნავდა, რამაც მიგვიყვანა სავალალო შედეგამდე, კერძოდ კი, ნაშენი მემკვიდრეობის თითქმის 80% პრაქტიკულად განადგურების პირას არის მისული.

ათწლეულების განმავლობაში პრაქტიკულად მიტოვებული, რთულ ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი მემკვიდრეობის რეაბილიტაცია მხოლოდ სახელმწიფოს აწევს ვალდებულებად. აღნიშნულმა ვითარებამ გამოიწვია, ერთი მხრივ, ისტორიული თვალსაზრისით ღირშესანიშნავი ობიექტების სრული ამორტიზება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული არათანმიმდევრული რეაბილიტაციების პროცესი - სრული გაუმჭვირვალობა, დაჩქარებული ტემპი და, თანხების დაზოგვისა თუ ბიუჯეტში თანხების მოზიდვის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულება.



ნათელია, რომ სახელმწიფო თანხები არასაკმარისია იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნაშენი მემკვიდრეობის გადარჩენისთვისაა აუცილებელი. შესაბამისად, აუცილებელია, ერთი მხრივ, საბიუჯეტო თანხების უფრო ეფექტურად გამოყენება და, მეორე მხრივ, კანონმდებლობაში სარესტავრაციო პროცესის წამახალისებელი რეგულაციების შემოღებით, კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

დასახული მიზნების მისაღწევად საუკეთესო გამოსავლად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის შექმნა გვესახება, რომელიც მართვაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ პროფესიონალური და არაპოლიტიკური კრიტერიუმებით შერჩეულ კადრებს გადაეცემა.

ფონდის ხარჯების ნაწილი სახელმწიფოდან დაფინანსდება. ამისათვის დღეს კულტურულ მემკვიდრეობაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების (დაახლოებით 30 მილიონი) გასამმაგება იგეგმება. დამატებით, ფონდი აქტიურად იმუშავებს საერთაშორისო დაფინანსების მოსაზიდად. ბიზნესექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის პროექტების ნაწილის კომერციალიზაცია. კერძოდ, სახელმწიფო - კერძო სექტორის თანამშრომლობის ფარგლებში შეფასდება კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული პროექტების განხორციელების ღირებულება და განხორციელების სოციალური და კომერციული ამონაგები. შემდგომ ეტაპზე გადაწყდება დაფინანსების სტრუქტურა და ძეგლის კერძო სექტორისათვის სამართავად (და არა მფლობელობაში) გადაცემის მომგებიანობა. კერძო სექტორისათვის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების გადაცემა უზრუნველყოფს მართვის მაღალ ხარისხს, ისევე, როგორც ოპერირების ბაზრის მოთხოვნილებაზე მორგებას. ოპერირებისა და კონსერვაციის ხარისხის მართვას უზრუნველყოფს ფონდი, კულტურის სამინისტროსთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ კომერციალიზაცია, ბევრი ობიექტისათვის თავდაპირველი იერსახის შენარჩუნებით, არის საუკეთესო გამოსავალი ცალკეული ძეგლების, ისევე, როგორც მთლიანი უბნების, კულტურული დანიშნულებისა და ტურისტული მიზმიდველობის შესაძენად. კერ-

ძო სექტორის ჩართულობისათვის დამატებითი მოტივაციის საშუალებები, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგადასახადო შეღავათების გარდა (მაგ., სარესტავრაციო სამუშაოების ქველმოქმედების კატეგორიაში გაყვანა), შეიძლება იყოს ფონდის თანადაფინანსება მთლიანი ღირებულების 50%-მდე და გრანტების სახით დამატებითი დაფინანსების მოძიება.

### **ტურიზმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საშუალება**

მსოფლიოს სულ უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს, კულტურულ მემკვიდრეობა შემოსავლის წყაროდ აქციოს. ამ უკანასკნელის ეკონომიკურ აქტივად განხილვა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ტურიზმის განვითარებით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია. ტურისტული თვალსაზრისით მიზმიდველი ისტორიული - კულტურული - ბუნებრივი პოტენციალი მაქსიმალურად და ადეკვატურად უნდა იქნეს გამოყენებული.

ადეკვატური არის ტურიზმი - დაფუძნებული კონკრეტული სივრცის უნიკალურ რესურსზე, რომელიც რაციონალურად იყენებს არსებულ კულტურულ-ისტორიულ-ბუნებრივ ღირებულებებს და აქტიურად არის ჩართული ამ უკანასკნელის დაცვაში. ადეკვატური ტურიზმი ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში აქტიური ჩართულობა;
- იმ უნიკალურობის, თვითმყოფადობის ხაზგასმა, რომელიც კონკრეტულ სივრცეს განასხვავებს სხვა დანარჩენისაგან;
- ტურიზმის განვითარებისთვის ხელშემწყობი პროგრამების შექმნა ადგილობრივ ღირებულებებზე დაყრდნობით;
- საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდა მოსახლეობაში.

ვთვლით, რომ ეს არის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას არა მარტო თვითკმარ რესურსად აქცევს, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტი გახდება.

და ბოლოს, კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი, არაგანახლებადი რესურსია. განადგურების შემთხვევაში, რაც შეიძლება გამონვეული იყოს არა მარტო გარეფაქტორების მავნე ზეგავლენით, არამედ მისი შეუსაბამო გამოყენებითაც, მისი აღდგენა შეუძლებელია. ყოველი ძველი ხომ უნიკალურია ისტორიულ დროსთან მიმართებით? კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის

ძირითადი მიზანი მომავალი თაობებისათვის ობიექტის ღირებულებების, მახასიათებლების, მთლიანობისა და ავთენტურობის შენარჩუნებაა.

ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, არსებულ მძიმე ვითარებას ვიღებთ როგორც გამონვევას, რომლის დაძლევა ჩვენი ვალდებულებაა, ვალდებულება ერის, ისტორიის და მომავალი თაობების წინაშე.



